ევროკავშირი საქართველოსთვის

EDEC

KONRAD ADENAUER STIFTUNG

მოხალისეობრივი საქმიანობა საქართველოსა და ევროკავშირში: შედარებითი ანალიზი

CSRDG

საგოჟალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ctc Empowering People for Change

Institut für Europäische Politik

ავტორი: მარიკა მხეიძე

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად – საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

© განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი

2023

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები	4
მოკლე შეჯამება: დოკუმენტის მიზნისა და რეკომენდაციების მოკლე მიმოხილვა	5
შესავალი	6
მოხალისეობის დეფინიცია	7
ინდივიდუალური და კორპორაციული მოხალისეობა	10
მოხალისეობის განვითარების ისტორია და ხელშემწყობი ფაქტორები (იგივე გამომწვევი მიზეზები) ევროპის ქვეყნების (ნიდერლანდები, ირლანდია) მაგალითზე	11
მოხალისეობის ეკოსისტემის ძირითადი ელემენტების (კანონმდებლობა, პოლიტიკური ინსტრუმენტები, პროგრამები, ფინანსური ინსტრუმენტები და მექანიზმები) - განმარტება, მოკლე მიმოხილვა, არსი	14
მოხალისეობის მარეგულირებელი გარემო	16
მოხალისეობის ინსტიტუციური ჩარჩო და სტრატეგიული ხედვა	21
საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი მოხალისეობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში	24
მოხალისეობის მხარდაჭერის პოლიტიკა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე	26
მოხალისეთა შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება და აღიარების მექანიზმები	30
მოხალისეთა რეესტრი	35
მოხალისეობის მხარდამჭერი პოლიტიკის ფინანსური ინსტრუმენტები	37
მოხალისეობის კულტურა	39
დასკვნა	40
რეკომენდაციები	41
ბიბლიოგრაფია	45

გამოყენებული ტერმინები

მოხალისეობა - პროდუქტიული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ნებაყოფლობით, ანაზღაურების მიღების მიზნის გარეშე, საზოგადოებრივი სიკეთის შექმნის მიზნით.

ფორმალური/ორგანიზებული მოხალისეობა - პირის ნებაყოფლობითი, არაანაზღაურებადი შრომა ორგანიზებული სტრუქტურის (ორგანიზაციის, საინიციატივო ჯგუფის და სხვ.) ფარგლებში სოციალური, ეკოლოგიური ან სხვა საყოველთაო სიკეთის მიღწევის მიზნით.

არაფორმალური მოხალისეობა - პირის მიერ ნებაყოფლობით, არაანაზღაურებადი დახმარების გაწევა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც არ არიან მასთან დაკავშირებული პირები - ნათესავები. ამ ტიპის ნებაყოფლობითი საქმიანობა არ არის კოორდინირებული ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ და ხორციელდება საზოგადოებრივი, სოციალური, ეკოლოგიური ან სხვა საყოველთაო სიკეთის მისაღწევად.

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია (სსო) - არასამთავრობო, არაკომერციული, ნებაყოფლობითი სუბიექტები, რომლებიც იქმნება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად სოციალური, ეკოლოგიური ან სხვა, საზოგადოებრივი სიკეთის მიღწევის მიზნით.

მოხალისეობრივი ორგანიზაცია - ორგანიზაცია, რომელიც შედგება მოხალისეებისგან ან ფუნქციონირებს მათი დახმარებით და რომელიც დახმარებას ან მომსახურებას უწევს ინდივიდებს, ჯგუფებს ან ქვეყნებს.

დამხმარე (შუამავალი) ორგანიზაცია - ორგანიზაცია, რომელიც ამზადებს, მხარს უჭერს და ტრენინგებს უტარებს მოხალისეობის მსურველ პირებს, ასრულებს შუამავლის ფუნქციას მათ და მასპინძელ ორგანიზაციას შორის და ეხმარება მონაწილეებს მოხალისეობრივი პრაქტიკის დასრულების შემდეგ.

მასპინძელი ორგანიზაცია - სსო, რომელიც საკუთარი პროგრამების, პროექტებისა და აქტივობების დანერგვისას იყენებს მოხალისეთა შრომას, შეიმუშავებს აქტივობების პროგრამას, უზრუნველყოფს მოხალისეთა ხელმძღვანელობასა და მხარდაჭერას მათთან თანამშრომლობის ყველა ფაზის განმავლობაში.

პარტნიორობა - ნებაყოფლობითი და თანამშრომლობითი ურთიერთობა სხვადასხვა მხარეს/სხვადასხვა ორგანიზაციას შორის, რომელთა ფარგლებშიც ყველა მონაწილე ერთად მუშაობს, რათა მიაღწიოს ერთიან მიზანს და იზიარებს რისკებს, პასუხისმგებლობას, რესურსებს, ცოდნასა და სარგებელს. პარტნიორობა ბიზნეს სექტორთან, საჯარო სექტორთან, სამოქალაქო ორგანიზაციებთან – სოციალური ზეგავლენის გაზრდისა და მაქსიმალური შედეგების მიღწევის ინსტრუმენტია.

ფილანთროპია - ნებაყოფლობითი, ალტრუისტული (უანგარო) დახმარება (თანხით, რესურსებით და ა. შ.), რომლის მიზანია საზოგადოების კეთილდღეობის ხელშეწყობა. ფილანთროპია საზოგადოებისთვის სასიკეთო პროგრამების განხორციელების ყველაზე ტრადიციული, ხანგრძლივი ისტორიის მქონე და გავრცელებული მიდგომაა.

ქველმოქმედება - მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების უანგარო დახმარება. კორპორაციული საქმიანობის კონტექსტში საქველმოქმედო საქმიანობა გულისხმობს კომპანიის მიერ ფინანსური/მატერიალური დახმარების უანგაროდ გაწევას მოწყვლადი ჯგუფებისათვის, გაჭირვებაში მყოფი ადამიანებისათვის, სასწრაფო საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ჰუმანიტარული კრიზისის საპასუხოდ და ა. შ. ქველმოქმედება შეიძლება განხორციელდეს ფულადი დახმარების სახით, ასევე საკვების, ტანსაცმლის, წამლების, ინვენტარისა თუ სხვა ნივთების გადაცემით.

ბიზნესი/ბიზნეს ერთეული - საქმიანობის ორგანიზებული ფორმა, რომელიც შექმნილია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების მიღების მიზნით.

<u>მოკლე შეჯამება:</u>

დოკუმენტის მიზნისა და რეკომენდაციების მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, მოხალისეობრივი საქმიანობის ეკოსისტემის ელემენტების ანალიზი საქართველოსა და ევროპის გამოცდილების მაგალითზე. ამ მიზნით, დოკუმენტი გამოყოფს მოხალისეობრივ საქმიანობაზე ზემოქმედების მქონე სამ ურთიერთდაკავშირებულ სფეროს:

- ✓ მოხალისეობრივი კულტურა - მოიაზრება როგორც მოხალისეობის განვითარების ისტორიული კონტექსტი, ისე სამოქალაქო თავისუფლებებისა და ინდივიდუალური ინიციატივის წახალისების დონე სახელმწიფოში. აღნიშნულში იგულისხმება, ასევე მოხალისეობასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერებისა და ცოდნის დონე.
- ✓ მოხალისეობის მარეგულირებელი ჩარჩო - მოხალისეობრივი საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირება უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა სფეროს აღიარების, მასში ჩართულ პირთა (მოხალისეები და ბენეფიციარები) და ორგანიზაციების უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრისათვის. საკანონმდებლო რეგულაციები ხელს უწყობს მდგრადი მოხალისეობრივი ეკოსისტემის ჩამოყალიბებასა და საზოგადოებაში მოხალისეობრივი კულტურის განვითარებას, რაც, საბოლოო ჯამში, მსურველ პირებს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთონ ხარისხიან მოხალისეობრივ საქმიანობაში
- ✓ მოხალისეობის ინსტიტუციური გარემო - მოხალისეობის მხარდამჭერი სტრატეგიული ხედვის, პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და სფეროს განვითარებაზე პასუხისმგებელი უწყების ან/და უწყებათა კოორდინაციის არსებობა, აგრეთვე მათი განვითარების დონე.

დოკუმენტი შეისწავლის საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში (განსაკუთრებული აქცენტით ნიდერლანდებსა და ირლანდიაში) არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებს, ინსტიტუციურ ჩარჩოებსა და პრაქტიკას. ყურადღება ეთმობა, ასევე, მოხალისეობასა და მოხალისეობის დროს შეძენილი უნარ-ჩვევების აღიარების სახელმწიფო და საერთაშორისო მექანიზმებსა და მოხალისეობაში ჩართულ აქტორებს.

ანალიზმა აჩვენა, რომ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, (რომლებიც ძირითადად, ახალგაზრდული მოხალისეობის მხარდაჭერით შემოიფარგლება), გამოწვევები არსებობს ეკოსისტემის სამივე ელემენტის - კანონმდებლობის, პოლიტიკისა და კულტურის მიმართულებით. მოხალისეობრივი ეკოსისტემის ნაკლოვანებების გამო, სფერო შედარებით ნელა ვითარდება, ასევე ნელა ვითარდება ფორმალურ მოხალისეობაში ჩართულ პირთა ქსელი; გამოწვევებია მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდამჭერი ორგანიზაციების სხვადასხვა ქსელების მდგრადი განვითარებისა და ფუნქციონირების კუთხითაც. ნაკლები ყურადღება ექცევა მოხალისეობრივი საქმიანობის პოტენციურ სოციალურ თუ ეკონომიკურ გავლენასა და სოციალურ მდგრადობას. გამოწვევებია მოხალისეობის მხარდამჭერი სახელმწიფო თუ მუნიციპალური სისტემების არარსებობისა და კონკრეტული პრაქტიკების სპორადულობის გამო. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი მოხალისეობრივი აქტორების საზოგადოებასთან ურთიერთობის, ორგანიზაციული მდგრადობის, შემოსავლის წყაროების მოძიების, ერთობლივი ადვოკატირების კუთხითაც.

შესაბამისად, შეიქმნა თემატური რეკომენდაციები, რომლებიც მოუწოდებს შესაბამის აქტორებს, დაამუშაონ ევროპულ პრაქტიკასა და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული ცვლილებები, რომლებიც გააუმჯობესებს „მოხალისეობის შესახებ საქართველოს კანონს", ასევე სფეროს მომიჯნავე კანონმდებლობას (საგადასახადო კოდექსი). რეკომენდაციები შეეხება ასევე მოხალისეობის მხარდამჭერი ინსტიტუციური სისტემებისა და სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას, რომლებიც შესაბამის სპეციფიკურ, გაზომვად, მიღწევად, რეალისტურ და დროში გაწერილ მიზნებად, ამოცანებად და აქტივობებად გარდაიქმნება სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეზე.

რეკომენდაციების ნაწილი მიმართულია ასევე სფეროში ჩართული სსო-ების მიმართ - განსაკუთრებით, საზოგადოებასთან სტრატეგიული კომუნიკაციის მხრივ.

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, მოხალისეობრივი საქმიანობის ეკოსისტემის ელემენტების ანალიზი საქართველოსა და ევროპის გამოცდილების კუთხით.

დოკუმენტი სწავლობს საქართველოში მოხალისეობის სფეროში არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. მასში ასახულია, მათ შორის, ევროპის ქვეყნებში (განსაკუთრებით, ირლანდიისა და ნიდერლანდების მაგალითზე) არსებული რელევანტური გამოცდილება. ამგვარად, დოკუმენტი აღწერს მოხალისეობის სფეროში ამ დროისათვის გამოკვეთილ მიღწევებს, გამოწვევებსა და რეკომენდაციებს საკანონმდებლო, ინსტიტუციურ თუ პრაქტიკულ დონეებზე.

წინამდებარე დოკუმენტის მცდელობაა, გამოკვეთოს მოხალისეობრივი საქმიანობის სფეროში არსებული ყველა მოთამაშის (აქტორის) როლი ამ მიმართულების განვითარების კუთხით. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში, გაანალიზებულია მოხალისეობრივი საქმიანობის სფეროში სახელმწიფო, მუნიციპალურ და სამოქალაქო საზოგადოების, ასევე ფიზიკური პირებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლების მნიშვნელობა.

ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით განვითარებულია მოხალისეობრივი საქმიანობის სხვადასხვა ფორმა (ინდივიდუალური, კორპორაციული, ფორმალური, არაფორმალური).შესაბამისად, სახელმწიფოს, სსო-ებსა და კერძო სექტორს შორის არსებული მჭიდრო კავშირი ხელს უწყობს გამოცდილებისა და ექსპერტიზის ურთიერთგაცვლას, მოხალისეობის წამახალისებელი სისტემების შექმნასა და იმპლემენტაციას. წინამდებარე დოკუმენტშიც აქცენტი კეთდება, როგორც სფეროს აქტორებზე, ისე მოხალისეობრივი საქმიანობის სფეროზე მოქმედი ეკოსისტემის ძირითად ელემენტებზე, რომლებიც, პირობითად, შემდეგ მთავარ მიმართულებებს მოიცავს:

- ✓ მოხალისეობის კულტურა;
- ✓ საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო;
- ✓ ინსტიტუციური და პოლიტიკური ჩარჩო (ეროვნული და ადგილობრივი დონის პროგრამები, ფინანსური და არაფინანსური მექანიზმები).

მოხალისეობრივ საქმიანობაზე მოქმედი ეკოსისტემის ელემენტების შესწავლის მიზნით, სათანადო ყურადღება ეთმობა, როგორც ზოგად მიდგომებსა თუ სტანდარტებს, ისე სხვადასხვა კონკრეტულ პრაქტიკას, რომლებიც ევროპის ქვეყნების მასშტაბით წარმატებით გამოიყენება ამ სფეროში. ნიშანდობლივია, რომ წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისათ-

ვის ევროპის ქვეყნებში გამოყენებული კანონმდებლობა, მიდგომები და პრაქტიკა შეირჩა შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- ✓ მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის ეფექტიანობა - კერძოდ, წარმოდგენილია მიდგომები და ინსტრუმენტები, რომლებიც მაქსიმალურად უწყობს ხელს სფეროში არსებული ბარიერების მოხსნასა და მის გაძლიერებას;
- ✓ ხსენებული მიდგომებისა და ინსტრუმენტების საქართველოში დანერგვისა და არსებულ რეალობასთან ადაპტირების სიმარტივე.

საქართველოს, ირლანდიისა და ნიდერლანდების კანონმდებლობის, ინსტიტუციური მექანიზმების თუ პრაქტიკის სამაგიდე მიმოხილვასთან ერთად, სფეროსადმი დამოკიდებულებების, გამოწვევებისა და განვითარების გზების იდენტიფიცირების მიზნით, დოკუმენტის მომზადების პროცესში ასევე ჩატარდა შეხვედრები მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდამჭერი სისტემის (საჯარო, არასამთავრობო სექტორი) წარმომადგენლებთან.

აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში იდენტიფიცირებული ძირითადი საკითხები, საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვასთან ერთად, ასახულია დოკუმენტის შესაბამის თავებში და, გარკვეულწილად, საფუძვლად უდევს იდენტიფიცირებულ გამოწვევებსა და რეკომენდაციებს.

ძირითადი ნაწილი/ანალიზი:

მოხალისეობის დეფინიცია

მოხალისეობის განმარტებამდე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მხოლოდ 2014 წლისათვის მოხალისეთა მიერ შექმნილი საზოგადოებრივი სიკეთის ღირებულება 190 მილიარდ აშშ დოლარს უდრიდა. მოხალისეთა ერთობლივი სამუშაო ძალა უდრის 109 მილიონ სრულ განაკვეთზე დასაქმებულ მუშაკს. ამგვარად, სოციალური ინტეგრაციის, სამოქალაქო მონაწილეობისა და ალტრუიზმის განწყობის ხელშეწყობის გზით, მოხალისეობა მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას ასრულებს.

გაეროს გენერალური ასამბლეის, ევროპული პარლამენტისა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის განცხადებების შემდეგ, რომლებიც სახელმწიფოებს მოხალისეობის მხარდაჭერისა და განვითარებისკენ მოუწოდებდნენ, მსოფლიოში 90-ზე მეტი მოხალისეობის მხარდამჭერი კანონი მიიღეს.[1]

არსებობს საქმიანობის ამ ფორმის განმარტებაც, რომლის თანახმად, მოხალისეობა გულისხმობს, პროდუქტიულ საქმიანობას, რომელიც ხორციელდება ნებაყოფლობით, ანაზღაურების მიღების მიზნის გარეშე საზოგადოებრივი სიკეთის შექმნის მიზნით.

მოხალისეობა წარმოადგენს სამუშაოს ფორმას, რომელიც ხორციელდება ანაზღაურებადი სამუშაოს ან საყოფაცხოვრებო საქმიანობის მიღმა, ფულადი კომპენსაციის გარეშე. არაანაზღაურებადი ხასიათის მიუხედავად, მოხალისეობა იძლევა მატერიალურ და/

1. UNV (2018), A PLAN OF ACTION SYNTHESIS REPORT ON INTEGRATING VOLUNTEERING INTO THE 2030 AGENDA IN THE UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE (UNECE) REGION. **ხელმისაწვდომია:** https://www.unv.org/sites/default/files/POA_UNECE_Synthesis%20Report_2019.pdf

ან არამატერიალურ სარგებელს თავისი ბენეფიციარებისთვის - იმ პირებისთვის, რომელთა სასარგებლოთაც ხორციელდება მოხალისეობრივი საქმიანობა, და ზოგჯერ იმ ორგანიზაციებისთვისაც, რომლებსაც მოხალისეები მხარს უჭერენ. მოხალისეობის ფენომენი თავისუფალი ნების საკითხია, თუმცა, როგორც წესი, მოტივაციას წარმოადგენს პირადი, კულტურული, რელიგიური ან სხვა ვალდებულების შეგრძნება.

მოხალისეობის დეფინიციები განსხვავდება სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციის სტანდარტისა და ქვეყნის მიხედვით. თუმცა, ყველა განმარტებას აქვს საერთო ძირითადი მახასიათებლები.

მოხალისეების უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, ევროპული ქარტიის თანახმად, მოხალისე არის ადამიანი, რომელიც თავისუფალი ნებით ახორციელებს საზოგადოების სასარგებლო საქმიანობას. ეს საქმიანობა ემსახურება არაკომერციულ მიზნებს, რომლებიც ხელს უწყობს იმ პირის განვითარებას, რომელიც ხარჯავს საკუთარ დროსა და ენერგიას საერთო სიკეთის მისაღწევად ფინანსური ჯილდოს გარეშე.[2]

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად, მოხალისეობა განიმარტება, როგორც ნებაყოფლობითი და უანგაროდ შესრულებული საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა.[3] ევროკავშირის სოლიდარობის კორპუსის მიზნებისათვის, მოხალისეობრივი საქმიანობის განმარტება მოიცავს მის ხანგრძლივობასაც, რომელიც, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, 12 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.[4] აღნიშნული განმარტებებიდან ურთიერთშეჯერების საფუძველზე იკვეთება მოხალისეობის ელემენტები, რომელთა შორისაა:

- ისეთი აქტივობის ან სამუშაოს განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს პროდუქტის ან მომსახურების წარმოებას თუ დისტრიბუციას მესამე პირების სასარგებლოდ.
- აქტივობა მიმდინარეობს გარკვეული დროის მანძილზე, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მინიმუმ ერთი საათის განმავლობაში;
- მოხალისეობა წარმოადგენს ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგს. ის არ უნდა იყოს სავალდებულო. ამგვარად, სასამართლოს მიერ დადგენილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, რომელიც წარმოადგენს სასჯელის ფორმას, არ ჩაითვლება მოხალისეობად.
- მოხალისეობა არაანაზღაურებადია და არ ექვემდებარება კომპენსირებას. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა უშვებს მოხალისეების მიერ სტიპენდიის მიღების ან მათ მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას (მაგალითად, მგზავრობის ხარჯები, განსახლების ხარჯები), აღნიშნული კომპენსაცია არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი ოდენობის (ოდენობა განისაზღვრება ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით);
- არსებობს ინდივიდუალური და კორპორაციული მოხალისეობის ფორმები. ინდივიდუალური მოხალისეობა გულისხმობს პირის მიერ არაანაზღაურებადი შრომის გაწევას სამოქალაქო, საზოგადოებრივ ან საქველმოქმედო ორგანიზაციაში, მუნიციპალურ ან სახელმწიფო ერთეულში. კორ-

2. European Youth Forum (2012), European Charter on the Rights and Responsibilities of Volunteers – Volunteering Charter; **ხელმისაწვდომია:** https://ec.europa.eu/citizenship/pdf/volunteering_charter_en.pdf

3. International Labour Organisation (ILO; 2018), Manual on the Measurement of Volunteer Work. **ხელმისაწვდომია:** https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---stat/documents/meetingdocument/wcms_100574.pdf

4. European Parliament and of the Council (2021) Regulation (EU) 2021/888 on establishing the European Solidarity Corps Programme; **ხელმისაწვდომია:** bhttps://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/summary/european-solidarity-corps-programme-2021-2027.html#:~:text=The%20European%20Solidarity%20Corps%20(ESC,the%20European%20Union%20(EU)%20and

პორაციული მოხალისეობა კი გულისხმობს ბიზნეს სექტორის წარმომადგენლის მიერ თავიანთი თანამშრომლების დროისა და რესურსის გამოყოფას გარკვეული სიკეთის შესაქმნელად. მაგალითად, კომპანიის რელევანტური კომპეტენციის მქონე თანამშრომლების მიერ უფასო იურიდიული, სამედიცინო, ფსიქოლოგიური ან სხვა სახის კონსულტაციის გაწევა პირთა მოწყვლადი ჯგუფებისათვის და/ან გარკვეული პერიოდით თანამშრომელთა მივლენა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაში კორპორაციული მოხალისეობის მაგალითია. როგორც კორპორაციულ, ისე ინდივიდუალურ მოხალისეობაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნარებზე დაფუძნებული მოხალისეობრივი პროექტები (ე.ი. აქტივობები, რომელთა ფარგლებში მოხალისეები საკუთარ პროფესიულ უნარებს იყენებენ მოხალისეობრივი საქმიანობის პროცესში), სხვა ტიპის მოხალისეობრივ საქმიანობასთან შედარებით 95%-ით მეტად უწყობს ხელს მოხალისეთა მიერ ახალ, სამუშაოსთან დაკავშირებული უნარებისა და გამოცდილების შეძენას.[5]

- ერთმანეთისაგან განასხვავებენ მოხალისეობის ფორმალურ და არაფორმალურ ფორმებს. ფორმალური მოხალისეობა ორგანიზებული სტრუქტურის ფარგლებში სოციალური, ეკოლოგიური ან სხვა საყოველთაო სიკეთის მიზნით გაწეულ არაანაზღაურებად შრომას გულისხმობს, არაფორმალური მოხალისეობა გულისხმობს არაანაზღაურებადი დახმარების გაწევას იმ ადამიანებისთვის, რომლებიც არ არიან მოხალისესთან დაკავშირებული პირები – ნათესავები. ამ ტიპის ნებაყოფლობითი საქმიანობა არ არის კოორდინირებული ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ.[6]

აღნიშნულ დეფინიციას შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული განმარტებაც, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ელემენტებთან ერთად, მოიცავს მითითებას ფორმალურ და არაფორმალურ მოხალისეობაზე. კერძოდ, მოხალისეობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად,[7] მოხალისეობა არის ორგანიზაციული მოწესრიგების ფარგლებში ფიზიკური პირის მიერ საკუთარი ცოდნითა და უნარით, ნებაყოფლობით და უანგაროდ განხორციელებული საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა. კანონის მუხლი 2(2)-ის თანახმად, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობად მიიჩნევა დახმარების გაწევა იმ იურიდიული პირისთვის, რომელიც საქმიანობს ერთ-ერთ შემდეგ სფეროში: ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარების, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების, სიღარიბის დაძლევისა და სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის, ახალგაზრდობისა და ბავშვთა საკითხების, გენდერული საკითხების, კონფლიქტების მოგვარების, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დახმარების, მიგრაციის, ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ცხოველთა უფლებების დაცვის სფეროები. ამასთან, კანონი მიუთითებს ფიზიკური პირის შესაძლებლობაზე, ორგანიზაციული მოწესრიგების გარეშე განახორციელოს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა - რაც არაფორმალური მოხალისეობის შესაძლებლობაზე მიუთითებს.

5. **Miller, S., Benefits of Skills-Based Volunteerism: ROI Tracker Findings; ხელმისაწვდომია:** https://www.trueimpact.com/social-impact-resources/bid/75953/benefits-of-skills-based-volunteerism-roi-tracker-findings

6. **Community Southwark (2021); A Guide to Formal and Informal Volunteering; ხელმისაწვდომია:** https://communitysouthwark.org/wp-content/uploads/2022/08/aguidetoformalandinformalvolunteering0d2b.pdf

7. **საქართველოს კანონი მოხალისეობის შესახებ (2015), ხელმისაწვდომია:** https://matsne.gov.ge/ka/document/view/3132612

ინდივიდუალური და კორპორაციული მოხალისეობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო პრაქტიკა და კვლევები ერთმანეთისგან განასხვავებს კორპორაციულ და ინდივიდუალურ მოხალისეობას.

კორპორაციულ მოხალისეობაში იგულისხმება კომპანიის მოხალისეობრივი აქტივობა და/ან პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომელთა ჩართულობას საზოგადოებრივი სიკეთის შექმნის - სოციალური ან გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელების პროცესში. საქმიანობა კორპორაციული ხასიათისაა, რადგან მას ახორციელებს მოგებაზე ორიენტირებული, კომერციული იურიდიული პირი საკუთარი ადამიანური რესურსების გამოყენებით, თუმცა აღნიშნული ხორციელდება არამომგებიანი მიზნებისთვის, რაც სცდება ბიზნესის ძირითად საქმიანობას. მოხალისეობრივ კომპონენტში იგულისხმება თანამშრომელთა შორის ნებაყოფლობითი, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის მიმართ სწრაფვის წახალისება. აღნიშნული პრაქტიკა მოხალისეობისა და სოციალური კორპორაციული პასუხისმგებლობის შედარებით ახალ ინსტრუმენტს წარმოადგენს და მიზნად ისახავს კორპორაციული ფასეულობებისა და კულტურის ამაღლებას ორგანიზაციული განვითარების გასაუმჯობესებლად. მსგავსი ტიპის მოხალისეობა შესაძლებელია, იყოს ხანმოკლე (იურიდიული დახმარება, ვებტექნოლოგიების აწყობა და სხვა) ან ხანგრძლივი (დროებითი სამსახური არამომგებიან ორგანიზაციაში, მენტორობა და სხვა), რაც კომპანიის ხელმძღვანელისა და თანამშრომლებისგან უსასყიდლო დახმარებას გულისხმობს.

ინდივიდუალურ მოხალისეობაში კი იგულისხმება თვითორგანიზების ან მოხალისეობრივ ორგანიზაციასთან ფორმალური თანამშრომლობის გზით, პირის ან პირთა ჯგუფის მიერ მოხალისეობის არაანაზღაურებადი საქმიანობა საზოგადოებრივი სიკეთის შესაქმნელად, თემის, საზოგადოების, ბენეფიციართა კონკრეტული კატეგორიის მხარდაჭერის მიზნით. სლოვაკეთისა[8] და ესტონეთის[9] შემთხვევაში მოხალისეობის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება ბიზნეს სექტორში. კერძო სექტორის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი ჩართულია მოხალისეობრივ საქმიანობაში. კერძოდ, კომპანიების თანამშრომლები ჩართულნი არიან ისეთ „PRO-BONO“ საქმიანობაში, როგორიცაა ახალგაზრდების, სტარტაპებისა და სოციალური საწარმოების თანამშრომელთა მენტორობა, კონსულტაცია და ტრენინგების ჩატარება. დამკვიდრებულია თანამშრომელთა მოკლე ან გრძელვადიანი მოხალისეობრივი მივლინება არასამთავრობო ორგანიზაციებში. ჩეხეთში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ჰესტია“, კორპორაციული მოხალისეობის კულტურის განვითარების მიზნით კოორდინაციას უწევს კორპორაციულ მოხალისეობრივ პროგრამებს და ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა კამპანიებს.[10]

8. Mazanec, J., (2022) Corporate Volunteering as a Current Phenomenon in Corporate Social Responsibility to Support the Career Development and Professional Skills of Employees during the COVID-19 Pandemic: A Case Study of the Slovak Republic; **ხელმისაწვდომია:** https://www.mdpi.com/2071-1050/14/7/4319

9. Dereckskei, A., (2020) Employee Volunteerism—Conceptual Study and the Current Situation; **ხელმისაწვდომია:** https://www.mdpi.com/2071-1050/12/20/8378

10. https://volunteertolearn.eu/national_entry_cz

მოხალისეობის განვითარების ისტორია და ხელშემწყობი ფაქტორები (იგივე გამომწვევი მიზეზები) ევროპის ქვეყნების (ნიდერლანდები, ირლანდია) მაგალითზე

სხვადასხვა კვლევის თანახმად, მოხალისეობის ფორმირება მე-12 საუკუნის ბრიტანეთში დაიწყო, სადაც 500-ზე მეტი საავადმყოფო მოხალისეების დახმარებით ფუნქციონირებდა. იმ ეტაპზე, მოხალისეობრივი საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიასა და რელიგიურ ინსტიტუტებთან. ტერმინის „მოხალისე" გამოყენება მე-17 საუკუნეში დაიწყო და ის ფართოდ გავრცელდა მე-18 საუკუნიდან - სწორედ ამ ეტაპიდან იწყება ორგანიზებული მოხალისეობის ისტორია. მეორე მსოფლიო ომმა მოხალისეობრივი საქმიანობა მნიშვნელოვნად შეცვალა - ისტორიაში პირველად მოხალისეთა ჯგუფები იგზავნებოდნენ საზღვარგარეთ მცხოვრებ პირთათვის დახმარების აღმოსაჩენად (მაგ. მშვიდობის კორპუსი).

ჯონს ჰოპკინსის შედარებითი არაკომერციული სექტორის პროექტზე (1991-2017)[11] მუშაობის შედეგად, გამოიყო ქვეყნების ოთხი მოდელი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან სამოქალაქო აქტივიზმის, სამოქალაქო სექტორისა და მოხალისეობრივი საქმიანობის მიმართ ისტორიული დამოკიდებულებით.

- **ლიბერალური მოდელი** - ეგრეთ წოდებულ ლიბერალურ მოდელში სახელმწიფო, სოციალური კეთილდღეობის შედარებით დაბალი ხარჯები, დაკავშირებულია და გამომდინარეობს დიდი არაკომერციული სექტორის საქმიანობიდან. ლიბერალური მოდელის სახელმწიფოებში, რომლის მაგალითსაც დიდი ბრიტანეთი წარმოადგენს, სახელმწიფოს, სოციალური კეთილდღეობის დაცვის გაფართოების ნაცვლად, აქცენტი კეთდება მოქალაქეთა ნებაყოფლობით საქმიანობაზე, მოხალისეობრივ აქტივობაზე, ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებაზე, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს მოხალისეებთან;
- **კორპორაციული მოდელი** - კორპორაციულ მოდელში, რომლის მაგალითსაც წარმოადგენენ გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, სახელმწიფო თანამშრომლობს არაკომერციულ, მოხალისეობრივ (რელიგიურ და სეკულარულ) ორგანიზაციებთან. ამ შემთხვევაში, სოციალური კეთილდღეობის მისაღწევად, არასამეწარმეო, მოხალისეობრივი სექტორი სახელმწიფოს ერთგვარი დამხმარე და უფლებამონაცვლეა. ამ თანამშრომლობის ნათელი მაგალითია კერძო და საჯარო თანამშრომლობის ისეთი შემთხვევები, როდესაც ფილანთროპიული და მოხალისეობრივი სექტორი სახელმწიფოს მიერ გაწეულ/გასაწევ სერვისებს გადააბარებს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა ჯანმრთელობა, მოხუცების მოვლა, სოციალური სერვისები;
- **სოციალურ-დემოკრატიული მოდელი** - ეს მოდელი, რომელიც ავსტრიისა და ფინეთის მიდგომას აღწერს, ხასიათდება სახელმწიფო სოციალური კეთილდღეობის ხარჯების შედარებით მაღალი დონით და ნაკლებად მცირე ფუნქციების მქონე მოხალისეობრივი სექტორით;

11. **ჯონს ჰოპკინსის შედარებითი არაკომერციული სექტორის პროექტი (CNP) იყო ყველაზე დიდი სისტემატური კვლევა, რომელიც ოდესმე განხორციელებულა კერძო არაკომერციული სექტორის საქმიანობის ფარგლების, სტრუქტურის, დაფინანსებისა და როლის გასაანალიზებლად მთელს მსოფლიოში, ამ სექტორის გაგებისა და აღქმის გასაუმჯობესებლად.** Center for Civil Society Studies (2022), Comparative Nonprofit Sector Project (1991-2017). **ხელმისაწვდომია:** https://ccss.jhu.edu/research-projects/comparative-nonprofit-sector-project/#:~:text=The%20Johns%20Hopkins%20Comparative%20Nonprofit,to%20provide%20a%20sounder%20basis

• **სტატიკური მოდელი** - ხასიათდება სახელმწიფო სოციალური კეთილდღეობის ხარჯების დაბალი დონით, რომელსაც თან ახლავს მოხალისეობრივი სექტორის შედარებით სუსტი როლი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები წარმოადგენენ სტატიკური და სოციალ-დემოკრატიული ტენდენციების საინტერესო ნაზავს.[12]

სტატიკური მოდელის ნათელ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ პოსტკომუნისტური ქვეყნების ნაწილი - ასეთ ქვეყნებში მოხალისეობრივი საქმიანობის ერთ-ერთი ბარიერი კომუნიზმის მემკვიდრეობაა. პოსტკომუნისტური საზოგადოება ავლენს სკეპტიკურ დამოკიდებულებას მოხალისეობრივი საქმიანობის მიმართ, რაც, ძირითადად, აიხსნება საბჭოთა სახელმწიფოში არსებული უარყოფითი დამოკიდებულებით ინდივიდუალური / კერძო ინიციატივების მიმართ.

კვლევების შედეგად გამოიყოფა ის გარემო პირობები, რომელთა არსებობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარებას. აღნიშნული ფაქტორები წამახალისებლად მოქმედებს მოხალისეობრივ საქმიანობაზე იმ შემთხვევაში/ქვეყნებშიც კი, სადაც მოხალისეობა არაა სამართლებრივად რეგულირებული და/ან შეზღუდულია მოხალისეობის წამახალისებელი ინსტრუმენტების რაოდენობა/ეფექტიანობა. აღნიშნულ ელემენტებს შორისაა:

(ა) სამოქალაქო თავისუფლებების მაღალი ხარისხი - აღნიშნული გარემოება მოქალაქეებს შორის ინიციატივის გამოვლენისა და ორგანიზების საშუალებას აძლევს;

(ბ) განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც დაინტერესებულ პირებს ფორმალური/ორგანიზებული მოხალისეობრივი შესაძლებლობებით უზრუნველყოფს;

(გ) სამოქალაქო საზოგადოების იმიჯი - ახდენს გავლენას მოხალისეობის მსურველი პირების ნდობის ხარისხზე მსგავსი ორგანიზაციების მიმართ და მათ სურვილზე, ჩაერთონ ერთობლივ მოხალისეობრივ ინიციატივებში;

(დ) სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა - მოხალისეობის განვითარებაზე მოქმედებს მოქალაქეთა შემოსავლის დონე, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. იმ პირობებში, როდესაც პირებს ყოველდღიური გადარჩენისთვის უწევთ შრომა, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ პოტენციურ მოხალისეებს დარჩეთ დრო, ენერგია და სურვილი, ჩაერთონ ორგანიზებულ/ფორმალურ არაანაზღაურებად საქმიანობაში საზოგადოებრივი სიკეთის მისაღწევად;

(ე) კერძო სექტორის განვითარებისა და თავისუფლების დონე - განვითარებული ბიზნეს-სექტორის პირობებში, მეტია ინტერესი კორპორაციული მდგრადობის ელემენტების, მათ შორის, კორპორაციული მოხალისეობის დანერგვის მიმართ.[13]

საინტერესოა სახელმწიფოების მიერ მოხალისეობის მხარდამჭერი საკანონმდებლო, სტრატეგიული თუ პროგრამული მექანიზმების დანერგვის ისტორია - ირლანდიაში, მოხალისეობისა (volunteerism) და საზოგადოებრივი სიკეთის მისაღწევად საკუთარი რესურსების გაღების (Caritas) ცნებები, საუკუნეების მანძილზე, კათოლიკურ ეკლესიასთან იყო გადაჯაჭვული, მიიჩნეოდა, რომ სოციალური კეთილდღეობა ოჯახისა და მრევლის საქმე იყო. შესაბამისად, 1960-იანი წლების შუა პერიოდამდე, სახელმწიფო ერიდებო-

12. **Center for Civil Society Studies (2022), Comparative Nonprofit Sector Project (1991-2017). ხელმისაწვდომია:** https://ccss.jhu.edu/research-projects/comparative-nonprofit-sector-project/#:~:text=The%20Johns%20Hopkins%20Comparative%20Nonprofit,to%20provide%20a%20sounder%20basis; Educational, Audiovisual & Culture Executive Agency (EAC-EA) Directorate General Education and Culture (DG EAC) (2010) Volunteering in European Union; ხელმისაწვდომია: https://commission.europa.eu/system/files/2020-03/exec_summary_volunteering_eu_en.pdf

13. **European Economic and Social Committee (2022); New trends in the development of volunteering in the European Union – Study; ხელმისაწვდომია:** https://www.eesc.europa.eu/sites/default/files/files/qe-09-22-293-en-n.pdf;

და მოხალისეობრივი საქმიანობის რეგულირებას. ამ პოლიტიკა შესამჩნევად შეიცვალა 1970-იან წლებში, როდესაც სახელმწიფომ დაიწყო მოხალისეობრივი სექტორის იმ წარმომდგენელთა მხარდაჭერა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სოციალური სერვისებისა და განათლების მიწოდებაში. ნიშანდობლივია, რომ სოციალური სერვისების მიწოდება სახელმწიფოს ექსკლუზიურ ვალდებულებას წარმოადგენდა - ხოლო მოხალისეობრივი სექტორი ბენეფიციარებს სთავაზობდა ამ სერვისების ალტერნატივას ან ავსებდა მათ.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მოხალისეთა ორგანიზების პროცესში წამყვანი როლი არა რელიგიურმა, არამედ სათემო და სეკულარულმა არასამეწარმეო ორგანიზაციებმა იკისრეს. ორგანიზაციები კონცენტრირებულნი არიან ისეთი საკითხების გარშემო, როგორებიცაა სოციალური და ეკონომიკური მარგინალიზაცია, ეკოლოგია და გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება.[14]

ნიდერლანდების შემთხვევაში მოხალისეობის განვითარების ეტაპები მსგავსია დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მაგალითისა. იგი წარმოიშვა ზრუნვის ოჯახური (კერძო) სათემო (კომუნურ) ფორმებზე გადასვლისას. მოხალისეობა შუა საუკუნეებში დაიწყო ჯერ ქრისტიანული ორგანიზაციების (მონასტრები, სამრევლოები) და მოგვიანებით კერძო პირების (ქრისტიანი მეწარმეების) და საჯარო ორგანოების (ადგილობრივი საბჭოების) ინიციატივით. მოხალისეობა დიდი ხნის განმავლობაში ხორციელდებოდა ორგანიზებული დაწესებულებების ქოლგის ქვეშ, რამაც უზარმაზარი სტიმული მისცა არასამეწარმეო ორგანიზაციების - ასოციაციების ჩამოყალიბებას. ასოციაციების ყველაზე ძლიერი ზრდა დაფიქსირდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში. 1945 წლიდან 1966 წლამდე სახელმწიფომ სამოქალაქო სექტორში წარმოშობილი ინიციატივების საკანონმდებლო რეგულირება, სტრატეგიული განვითარების ხელშეწყობა და სუბსიდირება დაიწყო.

საქართველოს შემთხვევაში, სხვა ქვეყნების მსგავსად, მოხალისეობის ისტორია შუა საუკუნეებიდან იწყება და უკავშირდება როგორც რელიგიურ, ისე სახელმწიფო ინსტიტუტებს. საბჭოთა კავშირის გავლენით, როდესაც მოხალისეობრივ საქმიანობას ნებაყოფლობით ასპექტი ჩამოერთვა, შეიზღუდა და, რიგ შემთხვევებში, გაუქმდა მთელი რიგი სამოქალაქო თავისუფლებისა, ასევე, კერძო და სამოქალაქო სექტორების არარსებობის პირობებში, სფერომ სრული სტაგნაცია განიცადა. სახელმწიფომ მოხალისეობრივი საქმიანობის რეგულირებისკენ პირველი ნაბიჯები 2015 წელს, საქართველოს პარლამენტის მიერ "მოხალისეობის შესახებ"[15] კანონის მიღებით გადადგა. აღნიშნული კანონი არეგულირებს ურთიერთობებს მოხალისესა და შუამავალ ორგანიზაციას შორის, განსაზღვრავს მოხალისის სტატუსს, მოხალისეობის არსსა და საქმიანობის შესაბამის სფეროებს. თუმცა, კანონი არ ითვალისწინებს მოხალისეებისა და მასპინძელი ორგანიზაციების წამახალისებელ მექანიზმებს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მოხალისეობრივი საქმიანობისთვის ოფიციალური ხასიათის მიცემის პროცესს.

ასევე, "ბავშვის უფლებათა კოდექსი",[16] განსაზღვრავს ბავშვის მოხალისეობის ხელშეწყობის საჭიროებას. გარდა აღნიშნული კანონებისა, 2018 წელს საქართველოს მთავ-

14. **European Commission (2018), Study on Volunteering in the European Union Country Report Ireland. ხელმისაწვდომია:** https://ec.europa.eu/citizenship/pdf/national_report_ie_en.pdf

15. **საქართველოს კანონი მოხალისეობის შესახებ (2015), ხელმისაწვდომია:** https://matsne.gov.ge/ka/document/view/3132612?publication=3

16. **საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი" (2019), ხელმისაწვდომია:** https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=4

რობამ მიიღო განკარგულება „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისეთა დებულების დამტკიცების შესახებ“,[17] რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს ურთიერთობებს მოხალისეებსა და საგანგებო სიტუაციების სამსახურს შორის. მოხალისეობის ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის განკარგულებით 2014 წელს დამტკიცებული “საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის”[18] ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა; ამ მიმართულებით დაგეგმილი იყო მოხალისეობის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიული დოკუმენტების მომზადება, საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება და საერთაშორისო მოხალისეობის მხარდაჭერა. თუმცა, საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის (2015-2020 წწ) შეფასების ანგარიშის თანახმად, იმ შესრულებული ვალდებულებების რაოდენობა, რომლებიც კონკრეტულად მოხალისეობას უკავშირდებოდა, ძალიან მწირი აღმოჩნდა.

მოხალისეობის ეკოსისტემის ძირითადი ელემენტების (კანონმდებლობა, პოლიტიკური ინსტრუმენტები, პროგრამები, ფინანსური ინსტრუმენტები და მექანიზმები) - განმარტება, მოკლე მიმოხილვა, არსი

მოხალისეობის განვითარებასა და მის მიმართ ფიზიკურ პირთა და მასპინძელ ორგანიზაციათა ინტერესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემო ფაქტორები, რომელთა ერთობლიობა მოხალისეობის ეკოსისტემას ქმნის. ხსენებული ეკოსისტემა კი პირობითად, სამ ძირითად მიმართულებად შეიძლება დაიყოს - ესენია მოხალისეობის კულტურა (საზოგადოების ისტორიული და სოციო-კულტურული დამოკიდებულება მოხალისეობის ფენომენის მიმართ), საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო, პოლიტიკური და მმართველობითი კონტექსტი. აღნიშნული მიმართულებები და მათი ელემენტები, რომლებიც პირდაპირ და/ან არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს მოხალისეებზე, მასპინძელ ორგანიზაციებსა და ბიზნესსექტორზე, განაპირობებს სფეროს განვითარებას. აღსანიშნავია, რომ ეკოსისტემის თითოეული მიმართულება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული და, ერთგვარად, გამომდინარეობს კიდეც ერთმანეთისგან - აღნიშნული ფაქტი თვალსაჩინოა მათი განმარტებისა და მათში შემავალი ელემენტების ანალიზის ეტაპზე.

დოკუმენტის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია აღნიშნული მიმართულებების განმარტების წარმოდგენა და მათი სპეციფიკური ელემენტების დასახელება.

- მოხალისეობის კულტურა - ასახავს ადგილობრივ ისტორიულ, სოციალურ და კულტურულ დამოკიდებულებას მოხალისეობის მი-

17. **საქართველოს მთავრობის დადგენილება 577 „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს მოხალისეთა წესდების დამტკიცების შესახებ“ (2018);**

18. **საქართველოს მთავრობის განკარგულება 553 „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ (2014); ხელმისაწვდომია:** https://matsne.gov.ge/ka/document/view/2314717?publication=0

მართ. ეს გავლენას ახდენს მოქალაქეების მოტივაციაზე, ჩაერთონ მოხალისეობრივ აქტივობებში. კულტურა ასევე გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა თუ ბიზნესსექტორის ინტერესზე ინდივიდუალური და კორპორაციული მოხალისეობის მიმართ. მოხალისეობის კულტურაზე ზემოქმედებს არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტები და მათი დანერგვა. ამგვარ ინსტრუმენტებს შორისაა, ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები, მოხალისეობის აღიარების სტანდარტები, სამოქალაქო და ადგილობრივი ინიციატივების სახელმწიფო მხარდაჭერის ხარისხი, სახელმწიფოსა და მუნიციპალური აქტორების მიმღებლობა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ, საზოგადოების, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ცოდნა და დამოკიდებულება მოხალისეობისადმი.

ამგვარად, მჭიდრო კავშირი არსებობს მოხალისეობის კულტურასა და მის საკანონმდებლო/მარეგულირებელ თუ პოლიტიკურ/ინსტიტუციურ ჩარჩოებს შორის, რომლებიც ერთმანეთზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ.

- საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო - სამართლებრივი რეგულირება მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ქვეყნების (მათ შორის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების) გარკვეულ ნაწილში მოხალისეობრივი საქმიანობა საკანონმდებლო რეგულირების მიღმაა დარჩენილი. სხვადასხვა კვლევით დასტურდება, ის დადებითი გავლენა, რომელსაც მოხალისეობის მარეგულირებელი კანონმდებლობის არსებობა განაპირობებს სფეროს განვითარებაზე, ამ მიმართულების საზოგადოებრივი აღიარებასა და მოხალისეთა/ბენეფიციართა უფლებების დაცვაზე. საკანონმდებლო ჩარჩო უნდა განსაზღვრავდეს მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართულ სუბიექტებსა და მათ ძირითად უფლება-მოვალეობებს, ასევე უნდა უზრუნველყოფდეს იმ წამახალისებელი პროგრამების თუ სისტემების შექმნასა და გაძლიერებას, რომლებმაც უნდა განავითარონ აღნიშნული სფერო. იდეალურ შემთხვევაში, კანონმდებლობა ასევე უნდა მიუთითებდეს იმ პასუხისმგებელ სახელმწიფო თუ მუნიციპალურ აქტორებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ სფეროს განვითარებას.

ამგვარად, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო უნდა განმარტავდეს მოხალისეობრივ საქმიანობას საკანონმდებლო დონეზე და მიუთითებდეს მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშემწყობ ადმინისტრაციულ პროცედურებსა და სისტემებს.

- პოლიტიკური და ინსტიტუციური ჩარჩო - ფასდება მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარების კუთხით, სახელმწიფოს სტრატეგიული ხედვის არსებობითა და სახელმწიფო/მუნიციპალურ დონეზე შექმნილი პოლიტიკის ინსტრუმენტებით. აღნიშნულში მოიაზრება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე არსებულ სხვადასხვა უწყებას შორის კოორდინირების დონე, მოხალისეობის წამახალისებელი ფინანსური და არაფინანსური მექანიზმები, აღიარებისა და განვითარების პროგრამები.

გარდა ამისა, ინსტიტუციური ჩარჩო გულისხმობს მოხალისეობის სფეროში არსებულ სტრატეგიებს, რომლებიც იქმნება და პერიოდულად გადაიხედება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

მოხალისეობის ეკოსისტემის ზემოთ დასახელებულ სამ მიმართულებაზე გავლენას ახდენს და ქმნის შემდეგი ელემენტები:

- მოხალისეობის მარეგულირებელი ჩარჩო - აღნიშნულში მოიაზრება საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც არეგულირებენ მოხალისის, მასპინძელი ორგანიზაციისა და საბოლოო ბენეფიცი-

ართა უფლება-მოვალეობებს;

- მოხალისეობის ინსტიტუციური ჩარჩო და სტრატეგიული ხედვა - სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარებაზე; მათ მიერ შექმნილი სტრატეგიული დოკუმენტები;
- მოხალისეობის მხარდამჭერი პოლიტიკა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე - შესაბამისი პოლიტიკის ინსტრუმენტები და პროგრამები;
- მოხალისეობის მხარდამჭერი დაინტერესებული მხარეები - არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;
- მოხალისეთა შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება და აღიარების მექანიზმები;
- მოხალისეთა რეესტრები;
- მოხალისეობის წამახალისებელი ფინანსური მექანიზმები.

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს, აღწეროს და გაანალიზოს ეკოსისტემის სამ მიმართულებაზე გავლენის მქონე ზემოთ დასახელებული ელემენტები საქართველოსა და ევროპის ქვეყნების (განსაკუთრებული აქცენტი ირლანდიასა და ნიდერლანდებზე) მაგალითებზე. თითოეულ ქვეთავში შეპირისპირებული იქნება ამ სახელმწიფოებისა და არსებული საერთაშორისო სტანდარტების ის მახასიათებლები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოხალისეობრივი საქმიანობის ეკოსისტემაზე.

მოხალისეობის მარეგულირებელი გარემო

მოხალისეობრივი საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირება უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა სფეროს აღიარებისა, მასში ჩართულ პირთა (მოხალისეები და ბენეფიციარები) და ორგანიზაციების უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრისათვის. საკანონმდებლო რეგულაციები ხელს უწყობს მდგრადი მოხალისეობრივი ეკოსისტემის ჩამოყალიბებასა და საზოგადოებაში მოხალისეობრივი კულტურის განვითარებას, რაც, საბოლოო ჯამში, მსურველ პირებს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთონ ხარისხიან მოხალისეობრივ საქმიანობაში.

ევროპის სახელმწიფოებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ მოხალისეობის სფეროს საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროების მიმართ. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოები ოთხ ფართო ჯგუფად იყოფა:

- თავისუფალი ნების პრინციპიდან გამომდინარე, სფეროს საკანონმდებლო რეგულირებაზე უარი (დანია, ფინეთი, შვედეთი) - მოხალისეობა არის მოქალაქეებისა და მაცხოვრებლების თავისუფალი ნების გამოხატულება, შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ სფეროსთვის რეგულაციები არ წესდება ცალკე აქტის მიღების გზით. მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართულ აქტორთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა შეიძლება რეგულირდებოდეს სხვადასხვა ზოგადი საკანონმდებლო აქტით.[19]
- კანონშემოქმედება აუცილებლობის გამო (ხორვატია, ჩეხეთი, ლატვია, ლიეტუვა,

19. **ფინეთის შემთხვევაში, ასეთ აქტებს შორისაა: 2017 წლის ახალგაზრდობის აქტი (ხელმისაწვდომია:** https://okm.fi/documents/1410845/4276311/Youth+Act+2017/c9416321-15d7-4a32-b29a-314ce961bf06/Youth+Act+2017.pdf?t=1503558225000);
და 1989 წელს მიღებული აქტი შეკრების თავისუფლების შესახებ (ხელმისაწვდომია: https://www.prh.fi/en/yhdistys-rekisteri/act.html)

მალტა, რუმინეთი) - სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა იქმნება ქვეყნებში, სადაც მნიშვნელოვანია მოხალისეობის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი, სოციალური და ეკოლოგიური სიკეთის უკეთ აღიარება სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ.[20]

- რაციონალური კანონშემოქმედების მიდგომა (ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი) - მოხალისეობის, ინფრასტრუქტურის, წამახალისებელი სისტემებისა და სქემების მრავალწლიანი ტრადიციის პირობებში, შეიძლება არ არსებობდეს საქმიანობის მარეგულირებელი ერთი კანონი. სხვადასხვა აქტში მოხალისეობასთან დაკავშირებული რეგულატორული ჩანაწერები უნდა შეიქმნას. მეორე მხრივ, შეიძლება მოქმედებდეს მოხალისეობრივი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის მარეგულირებელი არაერთი აქტი.[21]

- უმოქმედოდ დარჩენის მიდგომა (ბულგარეთი, ესტონეთი) - ქვეყნების ნაწილში სფეროს, მასთან დაკავშირებული ასპექტების საკანონმდებლო რეგულირება არ ხდება. ამ ტიპის სახელმწიფოებში მუშაობა მიმდინარეობს რეგულაციების ან რეფორმებისათვის მომზადების მიმართულებით.[22]

საქართველოში მოხალისეობის სფეროს სამართლებრივი რეგულირება 2015 წელს მიღებული „მოხალისეობის შესახებ“ კანონით მოხდა. საკანონმდებლო სივრცეში პირველად გაჩნდა მოხალისის ცნება და დარეგულირდა ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში მოხალისეობასთან დაკავშირებული ურთიერთობები. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული მოხალისეობა რეგულირდება „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“[23] საქართველოს კანონით, რომელიც განსხვავებულად და სპეციფიკურად აწესრიგებს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისეობის განხორციელების რიგ საკითხებს. გარდა ამისა, პოლიტიკური პარტიის ბაზაზე განხორციელებული მოხალისეობა განისაზღვრება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონით.

„მოხალისეობის შესახებ საქართველოს კანონით“ განმარტებულია მოხალისეობის ცნება, როგორც ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში ფიზიკური პირის მიერ საკუთარი ცოდნითა და უნარებით ნებაყოფლობითა და უანგაროდ შესრულებული საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა. საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობად მიიჩნევა იმ იურიდიული პირისთვის/მასპინძელი ორგანიზაციისთვის დახმარების გაწევა, რომელიც საქმიანობს ერთ-ერთ შემდეგ სფეროში:

20. **მალტის შემთხვევაში, 2007 წელს მიღებულ იქნა აქტი მოხალისეობრივ ორგანიზაციებთან დაკავშირებით, რომელიც განმარტავს მოხალისეობისა და მოხალისეობრივი ორგანიზაციების ცნებებს, განსაზღვრავს მათ კოორდინაციასა და მხარდაჭერაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოსა და მის მანდატს.**

21. **საფრანგეთის შემთხვევაში, მოხალისეობრივ საქმიანობას არეგულირებს 1901 წლის კანონი ასოციაციების შესახებ. ხელმისაწვდომია:** https://www.legifrance.gouv.fr/loda/id/JORFTEXT000000497458); **2000 წელს მიღებული კანონი სამოქალაქო მოხალისეობის შესახებ (ხელმისაწვდომია:** https://www.legifrance.gouv.fr/jorf/id/JORFTEXT000000763741#:~:text=%C2%AB%20Art.-,L.,des%20missions%20d'int%C3%A9r%C3%AAt%20g%C3%A9n%C3%A9ral; **1991 წლის კანონი დასაქმებულ პირთა მოხალისობრივ საქმიანობაში ჩართვის შესახებ (ხელმისაწვდომია:** https://www.legifrance.gouv.fr/loda/id/JORFTEXT000000162114)

22. **ბულგარეთის შემთხვევაში, მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარების ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად სწორედ შესაბამისი რეგულაციების არარსებობაა მითითებული. საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგ.: წითელი ჯვრის ბულგარეთის ოფისი) იყენებს საკუთარ მარეგულირებელ ჩარჩოს. ანალიზი ხელმისაწვდომია:** https://ikm.mk/ojs/index.php/kij/article/download/108/108

23. **საქართველოს კანონის სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ (2018); ხელმისაწვდომია:** https://matsne.gov.ge/ka/document/view/4243170?publication=6

ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარების, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების, სიღარიბის დაძლევისა და სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის, ახალგაზრდობისა და ბავშვთა საკითხების, გენდერული საკითხების, კონფლიქტების მოგვარების, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დახმარების, მიგრაციის, ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ცხოველთა უფლებების დაცვის სფეროები. ამასთან, კანონი განსაზღვრავს იმ მასპინძელ ორგანიზაციებს, რომლებსაც მოხალისეთა შრომის გამოყენება შეუძლიათ, კერძოდ მასპინძელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს: საქართველოს ან უცხოეთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან მისი ფილიალი, საერთაშორისო ორგანიზაციები ან მისი ადგილობრივი წარმომადგენლობა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირი, მუნიციპალიტეტის ორგანოები, საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებები.

კანონით განისაზღვრება, თუ ვინ შეიძლება იყოს მოხალისე, განისაზღვრა მოხალისესა და მასპინძელ ორგანიზაციას შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფორმა, აგრეთვე, მათი ძირითადი უფლება-ვალდებულებები. კანონის თანახმად, მოხალისე შეიძლება იყოს 16 წელს მიღწეული ფიზიკური პირი, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვანი მოხალისედ მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის ორგანოს თანხმობით მიიღება. მოხალისეობისას პირს უნარჩუნდება უმუშევრის სტატუსი და უფლება აქვს, ისარგებლოს იმ შეღავათებითა და დახმარებით, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. მოხალისეები ხელფასს არ იღებენ, მათ მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციისთვის გაწეული საქმიანობა გარკვეულ დანახარჯებს მოითხოვს, მაგალითად, ტრანსპორტისა და საკომუნიკაციო ხარჯებს. მოხალისეობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ასეთი დანახარჯები მასპინძელი ორგანიზაციის მიერ უნდა ანაზღაურდეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ იცნობს მოხალისის ცნებას და არ არეგულირებს მოხალისეობასთან დაკავშირებული ურთიერთობის ფორმებს. აღნიშნული, თავის მხრივ, იწვევს გარკვეულ ბუნდოვანებას, რაც მოხალისისთვის გადაცემული ასეთი კომპენსაციის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრად/შემოსავლად განხილვის შესაძლებლობას იძლევა.[24]

აღნიშნულის საპირისპირო მაგალითს გვაძლევს ნიდერლანდების საკანონმდებლო ბაზა. მოხალისეობის სფეროში ნიდერლანდები რაციონალური კანონშემოქმედების პრინციპის მაგალითია. შესაბამისად, მოხალისეობის ცნება და საქმიანობა რეგულირება, არა ერთი საკანონმდებლო აქტით, არამედ სოციალური, გარემოსდაცვითი, არასამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული და საგადასახადო რეგულაციების ერთობლიობით. მათ შორისაა სოციალური მხარდაჭერის,[25] სამოქალაქო ინტეგრაციისა[26] და სახელმწიფო გადასახადების აქტები[27]. სწორედ ეს უკანასკნელი საკანონმდებლო აქტი ითვალისწი-

24. **საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილი.**

25. **ნიდერლანდების სოციალური მხარდაჭერის აქტი (WMO; 2015); ხელმისაწვდომია:** https://wetten.overheid.nl/BWBR0035362/2023-07-01

26. **ნიდერლანდების სამოქალაქო ინტეგრაციის აქტი (2021); ხელმისაწვდომია:** https://wetten.overheid.nl/BWBR0044770/2023-01-01

27. **ნიდერლანდების საგადასახადო აქტი (2010), ხელმისაწვდომია:** https://wetten.overheid.nl/BWBR0029244/2023-01-01

ნებს საგადასახადო შეღავათებს მოხალისეებისათვის, რომლებიც იღებენ კომპენსაციას მოხალისეობრივი საქმიანობის პროცესში გაღებული ხარჯებისათვის. საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებული, ამ გზით მიღებული კომპენსაციის მაქსიმალური წლიური ოდენობა 1900 ევროს (თუმცა, არაუმეტეს 190 ევროს თვეში) შეადგენს. ამ თანხის მიღწევამდე მოხალისეებს არ სჭირდებათ ხარჯების აღრიცხვა. მასპინძელი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან, საგადასახადო ორგანოებს აცნობონ მოხალისეებისათვის ანაზღაურებული ხარჯები და დაადასტურონ მათი მიზანშეწონილობა (სატელეფონო ამონაწერი, მივლინების ხარჯები, ტრანსპორტირების ხარჯები და ა.შ.). იმ შემთხვევაში, თუ მოხალისეების მიერ საქმიანობასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები აღემატება ზემოთ დასახელებულ ლიმიტს, მასპინძელი ორგანიზაციის მიერ გაცემული კომპენსაცია თავისუფლდება გადასახადისგან. თუმცა, ამ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოები ითხოვენ ხარჯების დადასტურებას. დაუსაბუთებელი ხარჯების შემთხვევაში, ანაზღაურება ჩაითვლება შემოსავლად და შესაბამისად იბეგრება. გარდა ამისა, როდესაც მასპინძელ ორგანიზაციას არ აქვს შესაძლებლობა, მოხალისეს აუნაზღაუროს ხარჯები, მოხალისეს შეუძლია აღნიშნოს ის ყოველწლიურ საგადასახადო დეკლარაციაში და მიიღოს გადასახადის შემცირება ამ თანხაზე ფისკალური წლის ბოლოს.

საერთაშორისო სტანდარტები და ნიდერლანდების საკანონმდებლო ბაზა[28] ასევე მიუთითებს მასპინძელი ორგანიზაციის ვალდებულებაზე, ინფორმაცია მიაწოდოს თითოეულ მოხალისეს თავისი უფლებების, ვალდებულებებისა და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სპეციფიკის შესახებ. მოხალისის ინფორმირება მნიშვნელოვანია, რადგან ის უზრუნველყოფს:

- მოხალისის ჩართულობას იმ აქტივობებში, რომლებიც მისთვის მოსალოდნელი და საჯურველი იყო;
- მოხალისის მიერ თავისი უფლებებისა და გარემოებების გააზრებას, რომლებიც განსაზღვრავენ მის თანამშრომლობას მასპინძელ ორგანიზაციასთან;
- მოხალისის ინფორმირებას ნებისმიერი შესაძლო საფრთხის შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საქმიანობიდან.

მოხალისეების წინასწარი თუ შემდგომი ინფორმირება ხელს უწყობს მოხალისის უფლებების დაცვასა და შესაძლო გაუგებრობის მინიმუმამდე დაყვანას. როგორც უცხოური გამოცდილება ცხადყოფს, მოხალისის ინფორმირება ეხება, როგორც მოხალისეობრივ საქმიანობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას, ისე ამ საქმიანობიდან გამომდინარე რისკების შესახებ ინფორმირებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა, ამ თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. „მოხალისეობის შესახებ" კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება (რომელიც, 1 თვეზე მეტხნიანი მოხალისეობის შემთხვევაში, წერილობითი სახით იდება) უნდა გაიწეროს გასაგები ენით და ასახავდეს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, ხოლო კანონის მე-6 მუხლი ადგენს მასპინძელი ორგანიზაციის ვალდებულებას, მოხალისეს დროულად, გონივრულ ვადაში, გასაგები ფორმით მიაწოდოს სრული, ობიექტური ინფორმაცია ყველა ფაქტორის შესახებ, რომლებიც მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე მოქმედებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს

28. Hadzi Miceva, K., The International Journal of Not-for-Profit Law (2007), Civil Society in Complex Environments Comparative Analysis of the European Legal Systems and Practices Regarding Volunteering. **ხელმისაწვდომია:** https://www.icnl.org/resources/research/ijnl/comparative-analysis-of-the-european-legal-systems-and-practices-regarding-volunteering

კანონმდებლობაში არაა გათვალისწინებული სოციალური შეღავათები, როგორიცაა ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევა. აღნიშნული განიხილება შრომითი ურთიერთობების ნაწილად, რადგან ისინი პირდაპირ უკავშირდება ხელფასს ან ანაზღაურების სხვა ფორმებს, რომლებსაც ინდივიდები იღებენ და რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსით. თუმცა, ნიდერლანდების შემთხვევაში, უზრუნველყოფილია მასპინძელი ორგანიზაციების მიერ მოხალისეთა დაზღვევა უბედური შემთხვევის, ავადმყოფობის ან მესამე მხარის პასუხისმგებლობის რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია მათ მოხალისეობრივ საქმიანობასთან. გასათვალისწინებელია, რომ სადაზღვევო პაკეტების შეძენის პროცესში მასპინძელი ორგანიზაციების მიერ ფინანსური ტვირთის აღების შესამცირებლად, ნიდერლანდებში მოქმედი მუნიციპალური პროგრამები ითვალისწინებს შესაბამის ფინანსურ მხარდაჭერას ორგანიზაციებისათვის - აღნიშნულის შესახებ დეტალურად მოხალისეობის პოლიტიკის ინსტრუმენტების თავში იქნება საუბარი.

ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ რეგულაციების მხრივ, საინტერესოა ასევე პოლონეთის კანონმდებლობა, რომელიც მოხალისეს უფლებას აძლევს ისარგებლოს ჯანდაცვის შეღავათებით და მიიღოს კომპენსაცია უბედური შემთხვევისას.[29] უნგრეთში[30] ორგანიზაციებს შეუძლიათ გააფორმონ სადაზღვევო ხელშეკრულებები მოხალისეებისათვის და მათ უნდა უზრუნველყონ უსაფრთხო სამუშაო პირობები. იტალიის კანონმდებლობა[31] ავალდებულებს ორგანიზაციებს დააზღვიონ თავიანთი მოხალისე წევრები მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელებისას უბედური შემთხვევებისაგან.

გარდა სოციალური დაცვისა, მოხალისეთა დაცვის გარანტიები გულისხმობს მათი შრომითი უსაფრთხოების პირობების დაცვასაც. კერძოდ, ნიდერლანდებში იკრძალება მოხალისეების განწესება მაღალი რისკის შემცველ სამუშაოებზე. პირობითად, პანდემიის პირობებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს წინა ხაზზე მომუშავე და მოსახლეობის ინფორმირებაში ჩართული მოხალისეების გადამზადება, რათა მათ მიიღონ ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ყველა ზომა და ამასთან, მათთვის გადაცემა იმგვარი აღჭურვილობისა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს დაავადების გადადების რისკს.

საქართველოს კანონმდებლობით ასევე არაა გათვალისწინებული მოხალისეთა მიმართ და მათ მიერ ჩადენილი შევიწროებისა (მათ შორის, სექსუალური შევიწროების) და დისკრიმინაციის ფაქტების რეგულირების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ეს, ნაწილობრივ, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ კანონითაა დარეგულირებული, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებს სპეციალური რეგულაციები, რომლებიც მოხალისეობის დროს გამოვლენის ამგვარ ფაქტებს აწესრიგებს. აღსანიშნავია, რომ ნიდერლანდების მაგალითზე, ჯანდაცვის, კეთილდღეობისა და სპორტის სამინისტროს აქტებით განსაზღვრულია ქცევის წესები მოხალისეობრივ ორგანიზაციებში სექსუალური შევიწროების, ძალადობისა და დისკრიმინაციის დასაძლევად, რომლის თანახმად, ორგანიზაციებში მოქმედი რეგულაციები, უზრუნველყოფს დისკრიმინაციის, ბულინგის, ზეწოლისა და შევიწროებისაგან თავისუფალ გარემოს, თანამშრომელთა გადამზადებას მათ მიერ აღნიშნული სტანდარტების დასაცავად. შესაბამისი შეტყობინების მექანიზ-

29. **პოლონეთის აქტი კონკრეტული გარემოებებით გამოწვეული უბედური შემთხვევების ან პროფესიული დაავადებების შესახებ (2002); ხელმისაწვდომია:** https://isap.sejm.gov.pl/isap.nsf/DocDetails.xsp?id=WDU20021991674

30. **უნგრეთის აქტი მოხალისეობრივი საქმიანობის შესახებ (2005) (2005); ხელმისაწვდომია:** https://net.jogtar.hu/jogszabaly?docid=a0500088.tv

31. **იტალიის კანონი 266/91 (1991); ხელმისაწვდომია:** https://www.normattiva.it/uri-res/N2Ls?urn:nir:stato:legge:1991-08-11;266

მები ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს და ვრცელდებოდეს მოხალისეებზეც.

ამავე კანონქვემდებარე აქტის თანახმად, მოხალისეებთან მიმართებით ასევე ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტი, რომელიც გულისხმობს მათ მიმართ და მათ მიერ სენსიტიური ინფორმაციის გავრცელების სტანდარტების დაცვას. ამ თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა ირლანდიის კანონმდებლობა. ირლანდიაში, სადაც დიდი აქცენტია პრეცედენტულ სამართალსა და მოხალისეობრივი საქმიანობის წამახალისებელი პოლიტიკური მექანიზმების არსებობაზე - მოხალისეების მასპინძელ ორგანიზაციასთან ურთიერთობას არეგულირებს თანასწორობის აქტი და თანასწორი მოპყრობის აქტი, რომელთა თანახმადაც, თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომი, ძალადობის, შევიწროებისა და დისკრიმინაციისგან დაცვის სტანდარტები ასევე ვრცელდება მოხალისეებზე.

აღსანიშნავია ასევე მოხალისის პასუხისმგებლობის საკითხი მის მიერ საქმიანობის განხორციელების პროცესში გაუფრთხილებლობით ზიანის მიყენების შემთხვევაში. მოხალისეების უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ევროპული ქარტიის თანახმად,[32] მოხალისე უნდა სარგებლობდეს პასუხისმგებლობის დაზღვევით. საქართველოს კანონით მოხალისეობის შესახებ, აღნიშნული საკითხი არაა დარეგულირებული და იგულისხმება, რომ მოხალისის მიერ ბენეფიციარის და/ან მასპინძელი ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანი სამოქალაქო და/ან სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმებით განისაზღვრება.

ნიდერლანდების შემთხვევაში, მოხალისის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკების შესამცირებლად, განსაკუთრებით მოწყვლად ბენეფიციარებთან მუშაობის შემთხვევაში, მოხალისეები ვალდებულნი არიან, წარმოადგინონ ნასამართლობის ცნობა, რომელიც უფასოდ გაიცემა მოხალისეობის მსურველ პირებზე.

ირლანდიის შემთხვევაში კი მოხალისის მიერ დაუდევრობის შედეგად გამოწვეული ზიანი მასპინძელი ორგანიზაციის პასუხისმგებლობაა. თუმცა, გამონაკლისი ნორმების თანახმად, თუ მოხალისემ განზრახ დააზიანა ან ზიანი დადგა ისეთი ქმედების შედეგად, რომლის შედეგადაც მოსალოდნელი ან გარდაუვალი იყო მსგავსი შედეგი, ან ზიანი დადგა ისეთი ქმედების შედეგად, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა მასპინძელი ორგანიზაციის დავალებას, მოხალისე პასუხისმგებელია სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით.[33]

მოხალისეობის ინსტიტუციური ჩარჩო და სტრატეგიული ხედვა

მოხალისეობის ინსტიტუციურ გარემოს ქრილში ფასდება შესაბამისი სექტორის მხარდამჭერი სტრატეგიული ხედვის, პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და სფეროს განვითარებაზე პასუხისმგებელი უწყების ან/და უწყებათა კოორდინაციის არსებობა, აგრეთვე მათი განვითარების დონე.

საქართველოში თანდათან ვითარდება მოხალისეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკა და პრაქტიკა - აღსანიშნა-

32. **მოხალისეობის ევროპული ქარტია (2012); ხელმისაწვდომია:** https://ec.europa.eu/citizenship/pdf/volunteering_charter_en.pdf

33. **Tarpey, V., (2017); Law – Volunteer Management; ხელმისაწვდომია:** https://volunteerdublincity.ie/wp-content/uploads/2017/06/DVMS-2017_Law-and-Volunteer-Management_Verena-Tarpey.pdf

ვია, რომ ძირითადი აქცენტი მოხალისეობაში ახალგაზრდების ჩართულობაზე კეთდება. სწორედ ამიტომ, მოხალისეობრივი საქმიანობის პროცესის კოორდინირებას სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო ცდილობს. აღნიშნული თვალსაზრისით აღსანიშნავია შემდეგი სტრატეგიული დოკუმენტები:

2020 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია[34], „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ისა" და მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმა.[35] აღნიშნულ დოკუმენტებში საუბარია მოხალისეობრივი სფეროს განვითარებაზე, მათ შორის, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოხალისეობის ფაქტორებისა (ახალგაზრდა, ორგანიზაციული სტრუქტურა) და მოხალისეობრივი პროგრამებისთვის ბიძგის მიცემის მნიშვნელობაზე. კონცეფციის თანახმად, მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის მოხალისეობისა და მისი დადებითი შედეგების შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდება და მისი ცნობიერების დონის ამაღლება. ხაზგასმულია სახელმწიფოს მიერ ფორმალური მოხალისეობის განვითარების ხელშემწყობი ეკოსისტემის შექმნის განსაკუთრებული საჭიროება.[36]

დოკუმენტები საკმაოდ ჰოლისტურად უყურებს მოხალისეობის სექტორის განვითარებას და მოიცავს შესაბამისი ეკოსისტემის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვან მიმართულებებს, კერძოდ:

- ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე საჯარო სექტორის წარმომადგენლების კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა მოხალისეობრივი საქმიანობის სფეროს განვითარებისა და ხარისხიანი მოხალისეობრივი პროგრამების შემუშავების/განხორციელების საკითხებზე;
- ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი მოხალისეობრივი შესაძლებლობების მიმწოდებელი ორგანიზაციების დაფინანსებისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების შესახებ რეკომენდაციების მომზადება და საპილოტე პროექტების განხორციელება;
- ხარისხიანი, მრავალფეროვანი და ინკლუზიური მოხალისეობრივი პროგრამების, მათ შორის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის საჭიროებების შესაბამისი და თაობათაშორისი მოხალისეობის ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება და მხარდაჭერა.

ნიდერლანდების შემთხვევაში, ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და სპორტის სამინისტროს სოციალური მხარდაჭერის დირექტორატი (ჰოლანდიურად: Directoraat Maatschappelijke Ondersteuning) მოხალისეობის სფეროში მაკოორდინირებელ როლს ასრულებს. თუმცა პოლიტიკა დეცენტრალიზებულია. იუსტიციისა და უშიშროების სამინისტროები ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პოლიციისა და სახანძრო ბრიგადის მოხალისეებს. სოციალური დაცვისა და დასაქმების სამინისტრო ყურადღებას ამახვილებს ანაზღაურებად შრომასა და მოხალისეობრივ საქმიანობას შორის კავშირზე.

ჯანდაცვის, კეთილდღეობისა და სპორტის სამინისტრო სუბსიდირებას უწევს მოხალისეთა ქოლგა ორგანიზაციას - ჰოლანდიური მოხალისეობრივი ორგანიზაციების ასოციაციას (NOV).

მოხალისეობრივი საქმიანობის უმეტესობა

34. **ხელმისაწვდომია:** https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0

35. **საქართველოს მთავრობის დადგენილება 606 „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ისა" და მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (2022); ხელმისაწვდომია:** https://matsne.gov.ge/ka/document/view/5675992?publication=0

36. **საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის N7054 დადგენილება „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის" დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია:** https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0

ხორციელდება მუნიციპალურ კონტექსტში - მოხალისეების, მოხალისეობრივ ორგანიზაციებს, ადგილობრივ ორგანიზაციებს, კომპანიებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის შედეგად. ნიდერლანდების მთავრობა ყველა ღონეს ხმარობს, რათა ხელი შეუწყოს მოხალისეებისთვის სამართლებრივი დაბრკოლებებისა და სხვა შეზღუდვების აღმოფხვრას და მუშაობს მოხალისეობასთან დაკავშირებული პოლიტიკის გაახლებასა და ხელშეწყობაზე. სახელმწიფო ფინანსურ მხარდაჭერას უწევს მოხალისეობრივ ქოლგა-ორგანიზაციებს და დელეგირებული აქვს მათზე მონაცემების შეგროვების, მოხალისეთა რეესტრის შექმნის, მათი მომზადება-გადამზადებისა და უნარების აღიარების მექანიზმების უდიდესი ნაწილი.

მოხალისეობრივი საქმიანობის დეცენტრალიზებული ხასიათის მაღალი დონიდან გამომდინარე, ნიდერლანდებს არ აქვს შემუშავებული მოხალისეობის ეროვნული სტრატეგია, როგორც ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი. მიუხედავად ამისა, მოხალისეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკური ხედვა აისახება ადგილობრივ (მუნიციპალურ) აქტებსა და სტრატეგიებში და მოქმედებს მოხალისეობის მხარდამჭერი სახელმწიფო და მუნიციპალური პროექტები.[37]

ირლანდიის შემთხვევაში, სოფლისა და თემის განვითარების დეპარტამენტი პასუხისმგებელია მოხალისეობასა და მის დაფინანსებაზე. როგორც ზემოთ ითქვა, აღნიშნული გულისხმობს ეროვნული ორგანიზაციების მხარდაჭერის სქემას (SSNO). SNNO აფინანსებს მოხალისეობრივ ორგანიზაციებს ირლანდიაში. ორგანიზაციები, რომლებსაც სურთ განაცხადის შეტანა, უნდა ფოკუსირდნენ მხარდაჭერის უზრუნველყოფასა და გაჭირვებული ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებაზე. აქაც, ნიდერლანდების მსგავსად, მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარების კუთხით, ქოლგა-ორგანიზაციები წამყვან როლს ასრულებენ და სახელმწიფოს მხოლოდ პოლიტიკური ინსტრუმენტების შექმნის, მათი იმპლემენტაციის მონიტორინგისა და შესაბამისი ბარიერების მოხსნის/ფინანსური მექანიზმების შექმნის პასუხისმგებლობა აქვს.[38]

თუმცა, ნიდერლანდებისგან განსხვავებით, ირლანდიამ მოხალისეობრივი საქმიანობის სახელმწიფო ხედვასა და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაზე 2000 წლიდან დაიწყო მუშაობა - მოხალისეობის თეთრი დოკუმენტის შექმნით. ამ ეტაპზე, ძალაშია „მდგრადი, ინკლუზიური საზოგადოებები: ირლანდიის ხუთწლიანი სტრატეგია თემისა და მოხალისეობრივი სექტორის მხარდასაჭერად (2019-2024)"[39] და მოხალისეობის ეროვნული სტრატეგია 2021-2025 წლებისათვის.[40]

აღნიშნული დოკუმენტები, განსაკუთრებით კი მოხალისეობის სტრატეგია, ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- ახალი და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით მოხალისეობის შესახებ ცნობიერების გაუმჯობესება მოხალისეთა რაოდე-

37. **მოხალისეობრივი საქმიანობა ნიდერლანდებში (2023); ხელმისაწვდომია:** https://national-policies.eacea.ec.europa.eu/youthwiki/chapters/netherlands/2-voluntary-activities

38. **მოხალისეობრივი საქმიანობა ირლანდიაში (2023); ხელმისაწვდომია:** https://national-policies.eacea.ec.europa.eu/youthwiki/chapters/ireland/2-voluntary-activities

39. **სოფლისა და თემის განვითარების დეპარტამენტი (2019); სტრატეგია თემისა და მოხალისეობრივი განვითარების სფეროში; ხელმისაწვდომია:** https://www.gov.ie/en/publication/b97fd-supporting-the-engagement-of-marginalised-communities-in-decision-making-processes/#:~:text=Supporting%20the%20engagement%20of%20marginalised%20communities%20in%20decision%2Dmaking%20processes,-From%20Department%20of&text=In%20August%202019%2C%20the%20Department,Sector%20in%20Ireland%2020-19%2D2024

40. **სოფლისა და თემის განვითარების დეპარტამენტი (2020); მოხალისეობის ეროვნული სტრატეგია 2021-2025; ხელმისაწვდომია:** https://www.gov.ie/en/publication/3cba6-national-volunteering-strategy/

ნობის ზრდის მიზნით იმ რეგიონებში, სადაც მსგავსი აქტივობა ნაკლებია;

- მხარდაჭერისა და ინფრასტრუქტურული მექანიზმების გაძლიერება მოხალისეობაში ჩართული ორგანიზაციების, მოხალისეობის მხარდამჭერი აქტორებისა და მოხალისეების ხელშეწყობის მიზნით;
- ეთიკური და უნარებზე დაფუძნებული საერთაშორისო მოხალისეობის მიმართულების გაძლიერება;
- ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მოხალისეობის წვლილის შეფასება და ერთობლივი მიდგომის შემუშავება საჯარო ორგანოებსა და მოხალისეობის წარმომადგენლებს შორის თანმიმდევრული პოლიტიკის დანერგვისათვის.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი მოხალისეობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში

მოხალისეობრივი პოლიტიკის ფორმირების და მოხალისეობის კულტურის განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებულია სამოქალაქო ინიციატივების როლი და მნიშვნელობა. აღნიშნული გულისხმობს სხვადასხვა მასშტაბის მქონე სამოქალაქო სექტორის პროგრამებსა და ინიციატივებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მოხალისეობის სფეროს განვითარებაზე.

საქართველოში ახალგაზრდული მოხალისეობის ეროვნული კონცეფციის პროექტის შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე სამოქალაქო ორგანიზაციები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. იქმნება კვლევები და ერთობლივი პროექტები, რომელთა მიგნებები და მიღებული გაკვეთილები სფეროს განვითარებაზე მიმართული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირების საფუძველი ხდება.

საერთაშორისო გამოცდილებაც ცხადყოფს, რომ სამოქალაქო სექტორიდან წამოსული ინიციატივები, ძირითადად მოიაზრებს სამ მიმართულებას:

- გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის (ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე) ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენასა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებას, საქმიანობის სპეციფიკის შესახებ ინფორმირების, დოკუმენტების მომზადებაში მხარდაჭერისა და საუკეთესო გამოცდილების/პრაქტიკის შესახებ ინფორმირების გზით;
- ადვოკატირება კონკრეტული პოლიტიკის ან რეგულატორული ინსტრუმენტის ინიცირების, დანერგვის და/ან გაუმჯობესების მიზნით;
- ორგანიზაციული მხარდაჭერა, რომელსაც სამოქალაქო სექტორი უწევს ახლად შექმნილ და მცირე ზომის მოხალისეობრივ ორგანიზაციებს.

მოხალისეობა, თავისი არსით, სამოქალაქო აქტივიზმიდან გამომდინარეობს. ამდენად, სახელმწიფოები, როგორც წესი, შეზღუდულად მონაწილეობენ ამ სფეროს აქტორთა ორგანიზების ნაწილში, თუმცა, სახელმწიფო ინსტიტუციებს გათვალისწინებული აქვთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მათი გაერთიანებებისათვის ფინანსური და არაფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენის ინსტრუმენტები, უზრუნველყოფენ მათ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისას, ახდენენ საკუთარი უფლებამოსილებების ნაწილის დელეგირებას მათზე.

მასპინძელი ორგანიზაციებისა და მოხალისეობით დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოორდინირება უმნიშვნელოვანესია მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარების კუთხით.

კოორდინირების მექანიზმები ხელს უწყობს სფეროთი დაინტერესებულ ერთეულებს შორის გამოცდილების გაზიარებას, ტექნიკური მხარდაჭერის გაცვლასა და ერთობლივ ადვოკატირებას.

ჰოლანდიური მოხალისეობრივი ორგანიზაციების ასოციაცია (NOV) - წარმოადგენს წამყვან ქოლგა-ორგანიზაციას ნიდერლანდების მოხალისეობრივი საქმიანობის სექტორში. NOV-ს ჰყავს 375 წევრი ორგანიზაცია, რომლებიც მუშაობენ მოხალისეებთან ან მათ საკეთილდღეოდ. NOV უნიკალურია, რადგან ის ერთადერთი ორგანიზაციაა ნიდერლანდებში, რომელიც მიმართულია მოხალისეობრივი ძალისხმევისა და მუშაობის გაძლიერებაზე. მას ჰყავს ორი სახის წევრები: მასპინძელი ორგანიზაციები და ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებენ მოხალისეობის დამხმარე ან საკოორდინაციო როლს. ძირითადი ამოცანებია: მოემსახუროს მოხალისეობრივი საქმიანობის სექტორის ინტერესებს; გასწიოს ლობირება და ადვოკატირება ჰოლანდიის მოხალისეობრივი საქმიანობის სფეროს განვითარებისათვის და იყოს სახელმწიფო და მუნიციპალური გადაწყვეტილების მიმღები პირების, ასევე კერძო სექტორის პარტნიორი.

მოხალისეობრივი საქმიანობის ძირითადი სტიმულის უზრუნველსაყოფად, NOV მუშაობს მოხალისეობრივი საქმიანობის საჯარო აღიარებაზე და ხელს უწყობს ინოვაციური ინიციატივების დანერგვას. NOV ყურადღებას ამახვილებს მოხალისეობრივი საქმიანობის სექტორზე. წევრი ორგანიზაციები განსაზღვრავენ NOV-ის სამომავლო პოლიტიკას და ეძლევათ საშუალება, არიან მაქსიმალურად გამოიყენონ NOV-ის ქსელური როლი.

ნიდერლანდების სოციალური განვითარების ცენტრი (Movisie) არის ჰოლანდიის სოციალური განვითარების ცენტრი. მისი მისიაა ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მონაწილეობასა და დამოუკიდებლობას პროფესიული ორგანიზაციების, მოხალისეობრივი ორგანიზაციებისა და სამთავრობო ინსტიტუტების მხარდაჭერითა და კონსულტაციებით. „მოხალისეები მოძრაობაში“ (Vrijwilligers Aan Zet), როგორც მოხალისეობრივი საქმიანობის ინსტიტუციური ცოდნის ცენტრი მუშაობს მოხალისეებთან მათი ცოდნისა და უნარების განვითარების მიზნით და აკავშირებს მათ მასპინძელ ორგანიზაციებთან.

ირლანდიაშიც, ნიდერლანდების მსგავსად, წამყვანი როლი მოხალისეობის განვითარებაში სახელმწიფო მხარდაჭერით აღჭურვილ ქოლგა-ორგანიზაციას უჭირავს. Volunteer Ireland (მოხალისე ირლანდია) მოხალისეთა განვითარების ეროვნული ორგანიზაციაა. მის ფუნქციებს შორისაა:

- ირლანდიაში მოხალისეობის წახალისება, მხარდაჭერა და აღნიშვნა სხვადასხვა გზით, მათ შორის ისეთი კამპანიების ჩათვლით, როგორებიცაა მოხალისეობის ეროვნული კვირეული და „Volunteer Ireland“ ჯილდოები;
- ადვოკატირება მოხალისეებისა და მოხალისეობრივი ორგანიზაციების სახელით, რათა შეიქმნას საუკეთესო გარემო მოხალისეობისთვის ირლანდიაში;
- I-VOL-ის მართვა (ირლანდიური მოხალისეობის შესაძლებლობებისა და სიების ეროვნული მონაცემთა ბაზა);
- მოხალისეთა ცენტრების მხარდაჭერა;
- მოხალისეების მართვის საუკეთესო პრაქტიკაში ტრენინგების ჩატარება მოხალისეობრივი/მასპინძელი ორგანიზაციებისთვის;
- მოხალისეობით დაინტერესებული კომპანიების მხარდაჭერა და ხელმძღვანელობა;
- მოხალისეობისა და მოხალისეთა ცენტრების საუკეთესო პრაქტიკის შემუშავება და მხარდაჭერა.

საქართველოში ნაკლებადაა განვითარებული მოხალისეობაზე ორიენტირებულ ორგა-

ნიზაციათა კოალიციების პრაქტიკა. სტრატეგიულ ხედვათა სიმრავლე ხელს უშლის კონსენსუსს ან, სულ მცირე, საერთო მნიშვნელობის საკითხებზე შეჯერებასა და მათთან მიმართებით ერთობლივ ადვოკატირებას.

მოხალისეობის მხარდაჭერის პოლიტიკა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე

მოხალისეობრივი სფეროს განვითარების მიზნით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი პოლიტიკის ინსტრუმენტების, პროგრამული და საპროექტო ინტერვენციების შექმნასა და დანერგვას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. დოკუმენტის ამ ნაწილში მოცემულია მოხალისეობის განვითარების ხელშეწყობის არაფინანსური ინსტრუმენტები, რომლებშიც გამომდინარეობს სხვადასხვა სახის პოლიტიკის დოკუმენტებისგან, ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე.

საქართველოში ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია, „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ისა“ და მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმა, ასევე ახალგაზრდული მოხალისეობის ეროვნული კონცეფციის პროექტზე მუშაობის პროცესი. აღნიშნული დოკუმენტები ქმნიან ბაზისს, რომელშიც ჩანს სახელმწიფოს დამოკიდებულება მოხალისეობის ფენომენის მიმართ. დამტკიცებულ დოკუმენტებში ზოგადადაა მიმოხილული მოხალისეობის მხარდამჭერი სისტემის შექმნა-გაძლიერების საჭიროება. ამდენად, ახალგაზრდული მოხალისეობის ეროვნული კონცეფციის დამტკიცებამდე უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო პრაქტიკის დამატებითი ანალიზი, რათა შეისწავლონ იქნას მოხალისეობრივი ინფრასტრუქტურის გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამული ღონისძიებები.

სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, ნიდერლანდების პრაქტიკაში, მოხალისეობის ხელშემწყობ არაფინანსურ ინსტრუმენტებს შორისაა მოხალისეობის ელემენტის ინტეგრირება განათლების სისტემებში, რათა ხელი შეეწყოს მოხალისეობის მნიშვნელობის აღქმას მცირე ასაკიდანვე. შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების კურიკულუმებში შეტანილია მოხალისეობის კონცეფცია, ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და სტუდენტების ჩართვა მოხალისეობრივ საქმიანობაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნიდერლანდებში სახელმწიფო მჭიდროდ თანამშრომლობს მოხალისეობრივ ქოლგა-ორგანიზაციებთან, რომლებიც ცენტრალური და ადგილობრივი დაფინანსების მეშვეობითა და საჯარო (მათ შორის, საგანმანათლებლო) დაწესებულებებთან წვდომის წყალობით, ახორციელებენ მდგრად, გრძელვადიან პროგრამულ ინტერვენციებს. ამგვარად, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება ახალისებს ახალგაზრდებს, ჩაერთონ სოციალური მომსახურების გაწევის პროცესში. გამოიყენონ თავიანთი ნიჭი იმისთვის, რომ უზრუნველყონ თავიანთი დრო სოციალური მომსახურების გასაწევად და ამით გააძლიერონ სამოქალაქო საზოგადოება. 2018 წლიდან მოქმედებს საპილოტე პროექტები სოციალური სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან მოხალისე ახალგაზრდების დაკავშირების, მათი მომზადება-გადამზადებისა და საქმიანობაში ჩართვის კუთხით. სოციალური მომსახურების განვითარებაზე პასუხისმგებელი ჯანდაცვის, კეთილდღეობისა და სპორტის სამინისტროა, რომელიც შესაბამისი პროფილისა და მოხალისეობრივი ორგანიზაციების კოორდინირებას უზრუნველყოფს. სოციალური მომსახურების პროექტები, რომლებიც წარდგენილი

იყო მასპინძელი ორგანიზაციების მიერ, შეირჩა ZonMW-ის, ნიდერლანდების ჯანდაცვის კვლევისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ და სახელმწიფოს მიერ გამოიყო მათ განსახორციელებლად საჭირო სუბსიდიები.

ირლანდიის შემთხვევაშიც, სახელმწიფო მჭიდროდ თანამშრომლობს მოხალისეობრივ ქოლგა-ორგანიზაციებთან და მათი მეშვეობით ახორციელებს პროგრამების დიდ ნაწილს. აღსანიშნავია, რომ მოხალისეობის მხარდამჭერი ინტერვენციები სხვადასხვა თემატური პროგრამის ნაწილია. მათ შორისაა თანამშრომლობა 13-18 წლის ბავშვების უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციასთან - ახალგაზრდა სოციალური ინოვატორები (YSI), სახელმწიფო მხარდაჭერის მეშვეობით. პროგრამები და ინიციატივები მიზნად ისახავს აამაღლოს მათი ცნობიერება არაფორმალური განათლებისა და მოხალისეობის ფორმებზე, მეორე საფეხურის სკოლებში, ახალგაზრდულ ორგანიზაციებში. YSI-ისა და სახელმწიფოს ერთობლივი პროგრამები და ინიციატივები მხარს უჭერს ახალგაზრდებს და მათ აღმზრდელებს, მიიღონ თემებში არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული ინოვაციური გადაწყვეტილებები, მათ შორის, მოხალისეობის გამოყენებით.

YSI-ის ზემოთ დასახელებული ცნობიერების ასამაღლებელი პროგრამები „სკოლებში მოხალისეობის შესახებ“ სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალური ინკლუზიის განყოფილების სტრატეგიისა და სოციალური ჩართულობის საგზაო რუკის ნაწილად იქცა.

ახალგაზრდებს შორის მოხალისეობის მოტივაციის ასამაღლებლად, გაიცემა ჯილდოებიც - Gaisce („დიდი მიღწევა“ ირლანდიურად) არის თვითგანვითარების პროგრამა ირლანდიაში 15-25 წლის ახალგაზრდებისთვის. ჯილდოს პროგრამაში ოთხი განსხვავებული გამოწვევის სფეროა. ჯილდოს მოსაპოვებლად, მოხალისეებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა თითოეული გამოწვევის ზონაში კვირაში, მინიმუმ, ერთი საათის განმავლობაში. ოთხი გამოწვევის სფეროა:

- საზოგადოებრივი ჩართულობა - ეს ჩვეულებრივ გულისხმობს მოხალისეობის გარკვეულ ფორმას;
- პერსონალური უნარები;
- ფიზიკური დასვენება;
- მოგზაურობა.

ახალგაზრდებს Gaisce-ის ჯილდოს მიღწევის გზაზე მხარს უჭერს ხელმძღვანელი, მას ეწოდება პრეზიდენტის ჯილდოს ლიდერი (PAL). PAL შეიძლება იყოს ნებისმიერი ზრდასრული (გარდა ოჯახის წევრისა), რომელიც მხარს უჭერს ახალგაზრდების პიროვნულ განვითარებას.

Gaisce არის საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომლის მთავარი საზოგადოებრივი სპონსორია ბავშვთა, თანასწორობის, შშმ პირთა, ინტეგრაციისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტი.

Localize არის ახალგაზრდული მოხალისეობის პროგრამა. პროგრამა აერთიანებს 11 წელზე უფროსი ასაკის ახალგაზრდებს ადგილობრივ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ეს არის არაკომერციული იურიდიული პირი, რომელსაც მხარს უჭერს ბავშვთა, თანასწორობის, შეზღუდული შესაძლებლობის და ახალგაზრდობის დეპარტამენტი და იუსტიციის დეპარტამენტის მიგრანტების ინტეგრაციის ოფისი. Localize მართავს „მოხალისეობა ყველასათვის“ ჯილდოს, რომელიც აღიარებს და ადასტურებს მოხალისეობასა და საქველმოქმედო საქმიანობას, რომელსაც ახორციელებს ყველა ფენის ახალგაზრდები.

მოხალისეობის წამახალისებელ არაფინანსურ მექანიზმებს შორისაა, ასევე საერთაშორისო მოხალისეობის შესაძლებლობები. საქართველოში აღნიშნულ შესაძლებლობებს კურირებენ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და პროგრამები.

ნიდერლანდებისა და ირლანდიის შემთხვევაშიც, აღნიშნული ხელმისაწვდომია სხვადასხვა პროგრამის (მაგ.: Erasmus+-ის) მეშვეობით და ხელს უწყობს მოხალისეობრივი საქმიანობის სასწავლო კრედიტებად აღიარებას ეროვნულ დონეზე.

ეროვნულ დონეზე, ორივე ქვეყანაში, ასევე მოქმედებს მოხალისეობრივი სერტიფიცირების პროგრამები, რომლებიც უნარების აღიარების ნაწილს წარმოადგენენ.

ამასთან, შესწავლილი ქვეყნების უდიდეს ნაწილში, შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტებში აღწერილია სახელმწიფოების ვალდებულება, ხელი შეუწყონ მოხალისეობრივი სფეროს აქტორთა უფლებების დაცვას; საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების ორგანიზებასა და საგანმანათლებლო კურსების შემუშავებას. ასევე გათვალისწინებულია სახელმწიფოების ვალდებულება, დაეხმარონ შესაბამის სამოქალაქო აქტორებს მოხალისეობრივი ქსელების შექმნაში და აღმოუჩინონ მათ ფინანსური და არაფინანსური მხარდაჭერა.

ბელგიაში სწორედ, სახელმწიფოა მოხალისეობრივი აქტორების დაფინანსების ძირითადი წყარო. მოხალისეები ფინანსდება ორი ინსტრუმენტის გამოყენებით - (ა) ძირითადი დაფინანსება მოხალისეობრივი ორგანიზაციებისათვის და (ბ) პროექტის დაფინანსება საგრანტო მექანიზმის სახით. ჯამში, ყოველწლიური დაფინანსება, რომელიც გადაეცემა მოხალისეობრივ ორგანიზაციებს სახელმწიფოს მხრიდან, დაახლოებით 4 მილიონ ევროს აღწევს. ძირითადი დაფინანსების ინსტრუმენტში მოიაზრება ყოველწლიური ასიგნებები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გამოიყოფა შესაბამის თემში მოქმედი მოხალისეობრივი (ე.წ. შუამავალი) ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ მოხალისეთა ორგანიზებას და იძიებენ მასპინძელ ორგანიზაციებს. აღნიშნული დაფინანსება გამოიყოფა შუამავალი ორგანიზაციების მიერ საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების ჩასატარებლად და მოხალისეთა შორის დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით. ბელგია მოხალისეობრივი პროექტების დაფინანსებას ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე უწყობს ხელს შესაბამისი საგრანტო პროექტების გამოცხადების გზით. საგრანტო მექანიზმში იგულისხმება სპეციფიკური, მოხალისეობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ან სხვა საქმიანობაზე ორიენტირებული დამატებითი დაფინანსების გაცემის შესაძლებლობა. ინსტრუმენტის არსიდან გამომდინარე, საგრანტო მექანიზმის შემთხვევაში, შესაბამისი ორგანიზაციები მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო და/ან მუნიციპალური უწყებების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში.

დანიაში მოხალისეობრივი საინიციატივო ჯგუფებისა და ორგანიზაციებისათვის ხელმისაწვდომია, როგორც ადგილობრივი (მუნიციპალური), ისე სახელმწიფო დაფინანსება. დაფინანსება, ძირითადად, უზრუნველყოფილია გრანტებით. კერძოდ, სოციალური მომსახურების აქტით განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობების ვალდებულება, ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინონ მოხალისეობრივ ორგანიზაციებს/გაერთიანებებს და ითანამშრომლონ მათთან. აღნიშნული ჩანაწერი მიზნად ისახავს მოხალისეობრივ და თვითმმართველობის აქტორებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას და მოხალისეობრივი საქმიანობის მნიშვნელობის უკეთ წარმოჩენას ადგილობრივ დონეზე. სახელმწიფო გამოყოფს შესაბამის ბიუჯეტს მუნიციპალიტეტებისათვის, რომლებიც შემდგომ აღნიშნულ ფინანსებს ანაწილებენ მოხალისეობრივ ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებზე ე.წ. „ბლოკ გრანტების სახით“. გარდა ამისა, არსებობს ოპერაციული გრანტებისა და პროექტთან დაკავშირებული გრანტების მექანიზმიც. ოპერაციულია გრანტი, რომელიც ენიჭება ორგანიზაციას კონკრეტული აქტივობის

ან პროექტის წარდგენის საჭიროების გარეშე. ამ ტიპის გრანტის გაცემისას მხედველობაში მიიღება ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა მოხალისეობრივი ორგანიზაციის გამოცდილება, მათ მიერ აკუმულირებული მოხალისეებისა და მასპინძელი ორგანიზაციების რაოდენობა და თვითშეგროვებული სახსრები. ოპერაციული გრანტების საერთო წლიური მოცულობა 200 მილიონ ევროს აღემატება და ნაწილდება ფილანთროპიულ ორგანიზაციებზე. აქედან მოხალისეობრივი ორგანიზაციების დაფინანსება დაახლოებით 18 მილიონ ევროს შეადგენს. პროექტთან დაკავშირებული გრანტები გაიცემა საგრანტო კონკურსების ფარგლებში, წარდგენილი განაცხადების შერჩევის საფუძველზე.

რიგ ქვეყნებში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს მოხალისეობრივი საქმიანობის წახალისების მექანიზმები, რომელთაც სრულად ადგილობრივი ხელისუფლება მართავს. მაგალითად, დანიის შემთხვევაში, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლება ხელს უწყობს მოხალისეობრივი პრაქტიკის წახალისებას. კერძოდ, თვითმმართველ ორგანოებს აჰყავთ მოხალისე თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ადგილობრივი სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებასა და კერძო სექტორთან კონტაქტების დამყარებაზე. ამასთან, 2016 წლისათვის დანიის 98 მუნიციპალიტეტიდან 80-ს დამტკიცებული ჰქონდა მოხალისეობის ადგილობრივი პოლიტიკის დოკუმენტები. დოკუმენტების შინაარსი განსხვავებულია მუნიციპალიტეტების მიხედვით და ეფუძნება ადგილობრივ საჭიროებებს, თუმცა ყველა დოკუმენტი ეფუძნება მუნიციპალიტეტში ჩატარებულ კვლევას და მიზნად ისახავს: სამოქალაქო აქტივიზმისა და მოხალისეობის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას; თანამშრომლობას საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც მოხალისეობრივ პრაქტიკაში არიან ჩართულნი/აპირებენ ჩართვას; მოხალისეების რეესტრის შექმნასა და მის მუდმივ განახლებას; რეესტრში აღწერილი პირებისათვის უფასო მომზადება-გადამზადების კურსების შეთავაზებას იმ სფეროებში, რომლებშიც დაინტერესებულ პირებს მოხალისეობას სურთ.

საინტერესო პრაქტიკა გააჩნია ფინეთს, სადაც მუნიციპალიტეტების როლი მოხალისეობის მხარდაჭერასთან დაკავშირებით ოთხგანზომილებიანია, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტები მოხალისეობრივ ორგანიზაციებს სარგებლობისთვის სთავაზობენ ინფრასტრუქტურას უფასოდ ან მნიშვნელოვანი ფასდაკლებით;
- მუნიციპალიტეტები ასევე მხარს უჭერენ მოხალისეობრივ მოძრაობას იმით, რომ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოხალისეობაში ჩართული ადამიანებისთვის ტრენინგ-კურსების შემუშავებასა და მიწოდებაში;
- მუნიციპალიტეტები ასევე ხდებიან უფრო მნიშვნელოვანი პარტნიორები მრავალი მოხალისეობრივი ორგანიზაციისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ მომსახურებას და მუშაობენ მუნიციპალიტეტების მიერ გაცემული დაფინანსებით;
- მუნიციპალური ორგანოები ჩართულნი არიან მოხალისეობის მნიშვნელობისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში.

მოხალისეობის წამახალისებელ პოლიტიკურ და პროგრამულ ინსტრუმენტებს შორისაა ხარისხის შეფასების[41], მოხალისეთა ბაზების შექმნის,[42] და უნარების განვითარებისა და აღიარების ელემენტებიც[43].

41. **იხ. თავი "საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი მოხალისეობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში"**

42. **იხ. თავი „მოხალისეთა რეესტრები"**

43. **იხ. თავი „მოხალისეთა შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება და აღიარების მექანიზმები"**

მოხალისეთა შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება და აღიარების მექანიზმები

როგორც შესავალში აღინიშნა, უნარებზე დაფუძნებული მოხალისეობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მასში ჩართულ პირთა პროფესიული ცოდნისა და შესაძლებლობების შემდგომ განვითარებას. ამ ტიპის მოხალისეობა გაცილებით ეფექტიანია, რათა მასპინძელმა ორგანიზაციამ საზოგადოებრივი სიკეთის შექმნის მიზანს მიაღწიოს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ განივითარონ კომპეტენციები მომავალში უკეთესი სამუშაო ადგილის მოსაძებნად.

საქართველოს შემთხვევაში, მოხალისეთა პროფესიული და ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარება, როგორც სახელმწიფო ორგანოების (წინა წლებში, სპორტისა და კულტურის სამინისტრო, შემდგომში ახალგაზრდობის სააგენტო) პროექტების ფარგლებში და არასამთავრობო მოხალისეობრივი ორგანიზაციების საქმიანობის შედეგად ხორციელდება. სახელმწიფოს შემთხვევაში, ამგვარი აქტივობები პროგრამულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული და ხანგრძლივად არ ხორციელდება. პროექტულია ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაც ამ სფეროში - ორგანიზაციების ნაწილი აღნიშნულს ვერ ახერხებს. არ არსებობს ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც მოხალისეობრივ ორგანიზაციებს მოხალისეთა გადამზადებაში დაეხმარება. არ მოქმედებს ასევე მოხალისეობრივი უნარების დადასტურებისა და აღიარების მექანიზმები.

მოხალისეთა სტიმულირების მიზნით, მათი უნარების განვითარების ხელშესაწყობად, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამის რეგულაციებს მაგალითად:

- პორტუგალიის კანონი მოხალისეობის შესახებ ითვალისწინებს, რომ მოხალისეებს უნდა ჰქონდეთ წვდომა საწყის და მუდმივ ტრენინგებზე, რათა გააუმჯობესონ სერვისების მიწოდება და აითვისონ ცოდნა და უნარები, რომლებიც ხელს უწყობენ მათ განვითარებას;[44]
- რუმინეთის კანონი მოხალისეობის შესახებ აწესებს მოხალისის უფლებას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოხალისეობრივი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში და უფლება მიენიჭოს, განახორციელოს საქმიანობა მისი პროფესიული მომზადების შესაბამისად.[45] ასევე, რუმინეთში პირებს, რომლებიც ჩაერთვებიან ნებაყოფლობით საქმიანობაში, შეუძლიათ მიიღონ სერტიფიკატები, რომლებიც ადასტურებენ მათ მიერ შეძენილ გამოცდილებას, მოხალისეობრივი ორგანიზაციის ფარგლებში შესრულებულ ფუნქცია-მოვალეობებს, ხანგრძლივობასა და შეძენილ უნარ-ჩვევებს - აღნიშნული ხელს უწყობს მოხალისეობრივი საქმიანობისა და ინდივიდუალური მოხალისეების გამოცდილებისა და უნარების აღიარებას.
- პოლონეთის კანონმდებლობა საშუალებას აძლევს ბენეფიციარ ორგანიზაციას დაფაროს მოხალისეების ტრენინგის ხარჯები,

44. European Commission (2015), Study on Volunteering in the European Union Country Report Portugal. **ხელმისაწვდომია:** https://ec.europa.eu/citizenship/pdf/national_report_pt_en.pdf; **პორტუგალიის კანონი მოხალისეობის შესახებ (1999); ხელმისაწვდომია:** https://diariodarepublica.pt/dr/detalhe/decreto-lei/389-1999-667920

45. European Commission (2015), Study on Volunteering in the European Union Country Report Romania. **ხელმისაწვდომია:** https://ec.europa.eu/citizenship/pdf/national_report_ro_en.pdf; **რუმინეთის კანონი 78/2014 მოხალისეობრივი საქმიანობის რეგულირების შესახებ; ხელმისაწვდომია:** https://lege5.ro/gratuit/gm4tsojsgi/legea-nr-78-2014-privind-reglementarea-activitatii-de-voluntariat-in-romania

რომლებიც აუცილებელია მოხალისის მიერ ბენეფიციარი ორგანიზაციისათვის მომსახურების გაწევის პროცესში;[46]

- Europass Mobility-ის ფარგლებში, საერთაშორისო მოხალისეობის წახალისების მიზნით, ნიდერლანდების ინიციატივით, Europass-ს ინსტრუმენტის ადაპტირება, რათა მოხალისეებმა აღრიცხონ მოხალისეობის დროს შეძენილი უნარ-ჩვევები, კომპეტენციები და ცოდნა. დოკუმენტს ხელს აწერენ (დამოწმებულია) გამგზავნი და მასპინძელი პარტნიორი ორგანიზაციები. დოკუმენტის მთავარი მიზანია, ერთ ქვეყანაში გაწეული მოხალისეობრივი საქმიანობის ფარგლებში დაგროვებული ექსპერტიზის სხვა ქვეყანაში გამოყენების საშუალება მისცეს პირს, ასევე ხელი შეუწყოს ანაზღაურებადი სამუშაოს მოპოვებას..[47]

სხვადასხვა ქვეყანაში მოხალისეობაზე ორიენტირებული ორგანიზაციები, სახელმწიფოს მხარდაჭერით, მჭიდროდ თანამშრომლობენ სასწავლო დაწესებულებებთან. თანამშრომლობის ფორმატი ითვალისწინებს ფილანთროპიისა და მოხალისეობის შესახებ ინფორმაციის ინტეგრირებას სასწავლო კურიკულუმებში. გარდა ამისა, მოსწავლეები და სტუდენტები, რომლებიც ერთვებიან მოხალისეობრივ აქტივობებში, უფლებამოსილნი არიან, მიიღონ აკადემიური კრედიტები. მეტიც, საფრანგეთის შემთხვევაში, აკადემიური დიპლომის ან სასწავლო სერტიფიკატის მოპოვების პროცესში, პირის შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება გათვალისწინონ მისი მოხალისეობრივი საქმიანობა. თუმცა, მოქმედებს დათქმა, რომლის თანახმადაც, დიპლომის/სასწავლო სერტიფიკატის მოპოვების პროცესში აღნიშნული კომპონენტის გათვალისწინების მიზნით, მოხალისეობრივი საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს ჯამურად, არანაკლებ სამი წლის მანძილზე. ამასთან, საქმიანობის სფერო და პირის მიერ მიღებული უნარ-ჩვევები რელევანტური უნდა იყოს იმ სასწავლო პროგრამისა, რომლის ფარგლებშიც დიპლომი/სასწავლო სერტიფიკატი მოიპოვება (მაგალითად, სამედიცინო ხარისხის მიღებისას ითვალისწინებენ პირის საქმიანობას ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პოზიციაზე). აღნიშნულის დადასტურების მიზნით, ინდივიდმა უნდა გაიაროს გამოცდილების ვალიდაციის პროცესი, რომლის მართვასაც ახორციელებს დიპლომის/სასწავლო სერტიფიკატის გამცემი დაწესებულება. პირის გამოცდილება ვალიდურია მასპინძელი ორგანიზაცი(ებ)ის მიერ გაცემული, მოხალისეობრივი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენისა და სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ზეპირი გასაუბრების საფუძველზე.[48]

ნიდერლანდების ჯანდაცვის, კეთილდღეობისა და სპორტის სამინისტროს კანონქვემდებარე აქტებითა და რეგულაციებით გათვალისწინებულია მოხალისეების წვდომა საწყის და მუდმივ ტრენინგებზე. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს მიწოდებული სერვისის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება და იმ საკითხების ათვისება, რომლებიც ხელს უწყობს მათ განვითარებას. პრაქტიკულ დონეზე, მოხალისეები მონაწილეობას იღებენ შესაბამისი სატრენინგო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების შემუშავებაში და აქვთ უფლება, საქმიანობა წარმართონ საკუთარი პროფესიული მომზადების შესაბამის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი პროგრამები უშუალოდ მასპინძელი ორგანიზაციების მიერ იქმნება, მნიშვნელოვანია

46. Government of Poland(2022), Volunteering in Poland. **ხელმისაწვდომია:** https://www.gov.pl/

47. National Europass Centre of the Netherlands (2020); Europass Mobility for Volunteers; **ხელმისაწვდომია:** https://pjp-eu.coe.int/documents/42128013/47262121/Europass.pdf/effe7745-08de-43f0-be2b-ce179a2140e7

48. European Commission (2015), Study on Volunteering in the European Union Country Report France. **ხელმისაწვდომია:** https://ec.europa.eu/citizenship/pdf/national_report_fr_en.pdf

მუნიციპალური ერთეულების როლი შესაბამისი პროგრამების განხორციელების სფეროში - ფინანსური დახმარების ინსტრუმენტების, პროფესიონალებთან დაკავშირებისა და საკუთარი ტექნიკური რესურსების გამოყოფის გზით, მუნიციპალური აქტორები ხელს უწყობენ მასპინძელი ორგანიზაციების მიერ მოხალისეებისათვის საგანმანათლებლო/კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების რეალიზაციას ორგანიზაციისათვის, დამატებითი ფინანსური ტვირთის გაღების გარეშე. აღსანიშნავია, რომ 2010 წლამდე მოქმედებდა ეროვნული რეგულაცია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოხალისეობის ინფრასტრუქტურისთვის. აღნიშნული რეგულაციის ფარგლებში, არაერთმა ცნობილმა სასწავლო ინსტიტუტმა მიიღო სახელმწიფო სუბსიდიები მოხალისეების მომზადებისთვის ძალიან დაბალ ფასად.

ნიდერლანდებში, მოხალისეობაზე ორიენტირებული ორგანიზაციები მჭიდროდ თანამშრომლობენ სასწავლო დაწესებულებებთან. თანამშრომლობის ფორმატი ითვალისწინებს მოხალისეობის შესახებ ინფორმაციის ინტეგრირებას სასწავლო კურიკულუმებში, სხვადასხვა საგნის ფარგლებში. გარდა ამისა, მოსწავლეები და სტუდენტები, რომლებიც ერთვებიან მოხალისეობრივ აქტივობებში, უფლებამოსილნი არიან, მიიღონ აკადემიური კრედიტები. 2011-2012 სასწავლო წლიდან 2014-2015 წლამდე. ნიდერლანდებში სამოქალაქო მოხალისეობა კურიკულუმის სავალდებულო ნაწილი იყო. მოგვიანებით, მოხალისეობის ნებაყოფლობითი ასპექტის გათვალისწინებით, აღნიშნული ვალდებულება მოიხსნა. თუმცა, სკოლის მიერ აღნიშნული მიმართულების მოსწავლეთათვის შეთავაზების შემთხვევაში, მოხალისეობაში ჩართულ პირებს მიენიჭებათ აკადემიური კრედიტები.

რაც შეეხება მოხალისეთა უნარების აღიარებას, აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და სპორტის სამინისტროს სოციალური მხარდაჭერის დეპარტამენტს (ჰოლანდიურად: Dienst Maatschappelijke Ondersteuning) დელეგირებული აქვს აღნიშნული ვალდებულება მოხალისეობის ჰოლანდიური ქოლგა ორგანიზაცია NOV-ასთვის. Youthpass არის ევროპული ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ევროპულ პროგრამებში ახალგაზრდულ სფეროში არაფორმალური სწავლის აღიარებისთვის და შემუშავებულია ევროპულ დონეზე. ნიდერლანდების მთავრობამ დაამტკიცა აღნიშნული ინსტრუმენტი და მასთან დაკავშირებულ უნარების აღიარების პროგრამას იყენებს. Youthpass ძალაშია 2007 წლის 1 იანვრიდან. ანუ Youthpass-ის სერტიფიკატები შეიძლება გაიცეს პროექტების მონაწილეებზე, რომლებიც დაფინანსებულია "ახალგაზრდობა მოქმედებაში" პროგრამის (2007-2013) და Erasmus+ ახალგაზრდული პროგრამის (2014-2020) მიერ.

გარდა ამისა, სახელმწიფოსთან მჭიდრო თანამშრომლობით Erasmus+ ახალგაზრდობის ეროვნული სააგენტო ნიდერლანდებში ხელს უწყობს ინსტრუმენტის გამოყენებას ყველა ახალგაზრდისთვის, რომლებშიც მონაწილეობენ Erasmus+ მობილობის პროექტებში. ამასთან, Europass Mobility-ის ფარგლებში საერთაშორისო მოხალისეობის წახალისების მიზნით, ნიდერლანდების ინიციატივით, მოხდა Europass-ს ინსტრუმენტის ადაპტირება, რათა მოხალისეებმა აღრიცხონ ნებაყოფლობითი სამსახურის დროს მიღებული უნარ-ჩვევები, კომპეტენციები და ცოდნა. დოკუმენტს ხელს აწერს მასპინძელი ორგანიზაცია. დოკუმენტის მთავარი მიზანია, ერთ ქვეყანაში მოხალისეობრივი საქმიანობის ფარგლებში დაგროვებული გამოცდილების სხვა ქვეყანაში გამოყენების საშუალება მისცეს პირს, ასევე ხელი შეუწყოს ანაზღაურებადი სამუშაოს პოვნას, მოხალისეობრივი გამოცდილების საშუალებით და გაზარდოს მოხალისის მიერ მიღებული კომპეტენციების

თვითაღიარება.[49]

ირლანდიის შემთხვევაში, სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოხალისეთა უნარები განვითარდეს და აღიარდეს ფინანსური მდგრადობით. კერძოდ, სოფლისა და თემის განვითარების დეპარტამენტი მართავს ეროვნული ორგანიზაციების მხარდაჭერის სქემას (SSNO), რომელიც აფინანსებს მოხალისეობრივ ორგანიზაციებს ირლანდიაში. SNNO-ის დახმარებით, მხარდაჭერილია როგორც მოხალისეობრივი ორგანიზაციების მიერ მოხალისეთა და მენეჯერების შესაძლებლობის განვითარების კურსები. ხელმისაწვდომია სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული კურსები, რომლებიც იკვლევს მოხალისეთა ეფექტური და ეთიკური დაქირავებისა და შერჩევის პრინციპებსა და პროცედურებს. მოხალისეთათვის ასევე ხელმისაწვდომია Award Scheme Development and Accreditation Network (ASDAN)-ის სასერტიფიკატო ტრენინგები, რომლებიც გაიცემა მათ მიერ ზოგად უნარებისა და ცოდნაზე ფოკუსირებული ტრენინგების გავლის შემდეგ. ამ და სხვა სატრენინგო შესაძლებლობებთან ერთად, რომელიც სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ფინანსური დახმარებით მიეწოდებათ მოხალისეებს, მასპინძელი და მოხალისეობრივი ორგანიზაციების მიერ, მოქმედებს მათი უნარების აღიარების მექანიზმებიც. 2003 წლიდან მოქმედებს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო (NQF), რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს და გააძლიეროს მოხალისეთა მიერ გაწეული საზოგადოებრივი საქმიანობისა და შეძენილი უნარების აღიარების პროცესი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ირლანდიის ეროვნულმა ახალგაზრდულმა საბჭომ (NYCI), რომელიც წარმოადგენს ახალგაზრდული ორგანიზაციების ქოლგა-ორგანიზაციას, დაიწყო პროექტი „უნარების შეჯამება 2019 წელს". უნარების შეჯამება არის პროცესიც და პროდუქტიც. „Skills Summary" მიზნად ისახავს ახალგაზრდა მოხალისეების სასწავლო შესაძლებლობების მხარდაჭერას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მათზე, ვისთვისაც ტრადიციული აკადემიური სწავლება პრობლემურია. პროექტი დაინტერესებულ პირებს ეხმარება მოხალისეობრივი და არაფორმალურ გარემოში შეძენილი სწავლის შესაძლებლობების პოვნაში. „Skills Summary" პროგრამულად აღნუსხავს მოხალისეობისა და სხვა არაფორმალური განათლების საშუალებებით შეძენილ კომპეტენციებს. ამ რესურსის გამოყენება საშუალებას აძლევს ადამიანებს ჩამოტვირთონ პირადი უნარების შეჯამების სხვადასხვა ვერსიები.

I-VOL არის ირლანდიის ეროვნული მოხალისეობის მონაცემთა ბაზა, რომელსაც მართავს მოხალისე ირლანდია. ეს არის საძიებო სისტემა, რომელიც პოტენციურ მოხალისეებს საშუალებას აძლევს მოძებნონ სამუშაო მდებარეობისა და აქტივობის ტიპის მიხედვით. მოხალისეობის ეროვნული სტრატეგია 2021 - 2025 წლებში ასევე ადგენს მოქმედებას „IVOL მონაცემთა ბაზის შემდგომი განვითარებისთვის, რათა მოიცავდეს „მოხალისეობის პასპორტის" განყოფილებას, რომელიც აღრიცხავს მოხალისეთა აკრედიტებულ უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც მიიღეს მოხალისეობრივ როლში".

ირლანდიაში ასევე მოქმედებს მოხალისეთა ცენტრები, რომლებსაც მხარს ადგილობრივი ხელისუფლება და Volunteer Ireland უჭერენ. ცენტრების ფუნქციებია მოხალისეობის მსურველთა დაკავშირება მოხალისეობის შესაძლებლობებთან, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩასატარებლად სივრცის/ინფრასტრუქტურის გადაცემა.

ლიეტუვაში მოქმედებს მოხალისეობრივი უნარებისა და საქმიანობის აღიარების რამ-

49. **National Europass Centre of the Netherlands (2020); Europass Mobility for Volunteers; ხელმისაწვდომია:** https://pjp-eu.coe.int/documents/42128013/47262121/Europass.pdf/effe7745-08de-43f0-be2b-ce179a2140e7

დენიმე სქემა, რომლებშიც მონაწილეობა წახალისდება უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს, მოხალისეობრივი გამოცდილების აღიარებითა და დამატებითი 0.25 ქულის მინიჭებით. სქემის ფარგლებში აღიარებულია შემდეგი მოხალისეობრივი პროგრამები:მოხალისეობრივი მომსახურება (JST) წარმოადგენს ინტენსიურ 6-თვიან პროგრამას 14-დან 29 წლამდე მოხალისეებისათვის, რომლებიც 40 საათს/თვეში საქმიანობენ მასპინძელ ორგანიზაციაში და თვეში ერთხელ ხვდებიან მოხალისე ორგანიზაციის მიერ დანიშნულ მენტორს.

1. საერთაშორისო მოხალისეობა 3 თვის ან მეტი ხნის განმავლობაში Erasmus + და ევროპის სოლიდარობის კორპუსის ფარგლებში; მონაწილეობა დადასტურება Youthpass სერტიფიკატის წარმოდგენის გზით;

2. ახალგაზრდობის მოხალისეობრივი მომსახურების (JST) პროგრამაში მონაწილეობა არანაკლებ 6 თვე და 40 საათი/თვეში, „ახალგაზრდობის ნებაყოფლობითი სამსახურის ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 22 ივნისის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის 22 ივნისის ბრძანების შესაბამისად.[50] მონაწილეობა დადასტურდება JST სერტიფიკატის წარმოდგენის გზით.

გარდა ამისა, ლიეტუვის უმაღლეს სასწავლებლებში, კომპეტენციები აღიარდება სწავლისას, პირების მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობის საფუძველზე. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ სასწავლო კრედიტების მოპოვება. გამოცდილების სასწავლო კრედიტად აღიარების პროცესი განსხვავდება უმაღლესი სასწავლებლის მიხედვით, თუმცა, თითოეული მათგანი ეფუძნება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური და თვითგანათლებით მიღებული კომპეტენციების შეფასებისა და აღიარების ზოგადი პრინციპების დამტკიცების შესახებ“ პროცედურას.[51] მაგალითად, ვილნიუსის უნივერსიტეტში, მოხალისეობრივი საქმიანობის გზით შეძენილი კომპეტენციების აღიარებასა და სასწავლო საგნის (მოდულის) შეფასება/აღიარებას ახორციელებს უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის კომიტეტი. შეფასების შემდეგ, კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას, სასწავლო კრედიტების მაძიებელ მოხალისეს ენიჭება მოდულისთვის გათვალისწინებული სასწავლო კრედიტების მოცულობის არაუმეტეს 50 პროცენტისა.

მოხალისეობის წახალისების მიზნით, ლიეტუვის კანონი მოხალისეობის შესახებ ადგენს, რომ მოხალისეობრივი საქმიანობის მიზნებისა და ხასიათის გათვალისწინებით, ზოგადი განათლების სისტემის ფარგლებში ის შეიძლება ჩაითვალოს პრაქტიკულ სამუშაო და/ან აკადემიურ გამოცდილებად, ან სოციალურ სამუშაოდ.[52]

ევროპის სოლიდარობის კორპუსისა (ESC) და ERASMUS+-ის ფარგლებში ჩართული სახელმწიფოების უმეტესობა აღიარებს პირთა მიერ ამ ინსტრუმენტების ფარგლებში გაწეულ მოხალისეობრივ საქმიანობას. აღნიშნული მიიღწევა ე.წ. Youthpass-ის[53] სერტიფიკატის

50. **„ახალგაზრდობის ნებაყოფლობითი სამსახურის ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 22 ივნისის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის 22 ივნისის ბრძანება; ხელმისაწვდომია:** https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/aa3158f2797711e89188e16a6495e98c/asr

51. **„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური და თვითგანათლებით მიღებული კომპეტენციების შეფასებისა და აღიარების ზოგადი პრინციპების დამტკიცების შესახებ“ პროცედურა; ხელმისაწვდომია:** https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/7f369150292911e79f4996496b137f39?jfwid=pd6eq4970

52. **მოხალისეობრივი საქმიანობა - ლიეუტუვა (2023); ხელმისაწვდომია:** https://national-policies.eacea.ec.europa.eu/youthwiki/chapters/lithuania/29-skills-recognition

53. Youthpass **არის არაფორმალური სწავლების აღიარების ინსტრუმენტი პროექტებში, რომლებიც დაფინანსებულია** Erasmus+ Youth in Action **და ევროპის სოლიდარობის კორპუსის მიერ. ეს არის სერტიფიკატი, რომელსაც ასახავს პირის მიერ შეძენილ ცოდნასა და კომპეტენციებს.**

სასწავლო დაწესებულებების მიერ მხედველობაში მიღებით (ავსტრია, ლიეტუვა), ასევე ორგანიზაციების ხელმისაწვდომობის ზრდით ამ პროგრამებთან დაკავშირებული მოხალისეობის მაძიებლებთან დაკავშირების მხრივ. კერძოდ, ESC-ის პროგრამის ფარგლებში, ორგანიზაციებმა შეიძლება მოიპოვონ „ხარისხის ნიშანი", რომელიც უმარტივებს მათ მოხალისეების მოძებნას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რეპუტაციისა და სანდოობის ზრდის ხარჯზე. ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამის „ხარისხის ნიშანი" არის პროცესი, რომელიც ადასტურებს, რომ ორგანიზაციას შეუძლია და სურს განახორციელოს მაღალი ხარისხის აქტივობები ევროპის სოლიდარობის კორპუსის პრინციპების, ამოცანებისა და ხარისხის სტანდარტების შესაბამისად. ხარისხის ნიშნის მოპოვება არის ESC-ის მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის წინაპირობა.[54]

მოხალისეთა რეესტრი

საქართველოს კანონმდებლობა, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული მოხალისეობის გარდა,[55] არ არეგულირებს მოხალისეთა რეესტრის წარმოების საკითხს. შედეგად, საქართველოში არ წარმოებს მოხალისეთა ერთიანი ეროვნული ან ერთიანი მუნიციპალური რეესტრი. მოხალისეთა აღრიცხვა, მათთან შემდგომი კომუნიკაციისა და ახალი შესაძლებლობების გაზიარების მიზნით მასპინძელი ორგანიზაციების შესაძლებლობასა და სურვილზეა დამოკიდებული. შესაბამისად, მოხალისეთა რეესტრის/სიები იწარმოება კონკრეტული ორგანიზაციების ბაზაზე (იმ მოხალისეების რომლებიც ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობენ) ან კონკრეტული მოხალისეობრივი პროგრამის/პროგრამების მიზნებისთვის. საქართველოში მსგავსი რეესტრის/რეესტრების არარსებობა ხელს უშლის სანდო, განახლებად წვდომას სტატისტიკურ ინფორმაციაზე, რომელიც რელევანტური შეიძლება აღმოჩნდეს სახელმწიფოსათვის შესაბამის სფეროში პოლიტიკის დასაგეგმად.

მსგავსი ეროვნული და/ან მუნიციპალური დონის რეესტრის შექმნისკენ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯია ვებ-გვერდი www.volunteer.ge Volunteer.ge არის მოხალისეობაზე დაფუძნებული ციფრული პლატფორმა, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის, გამოცდილებისა და სიკეთის გაზიარებას. პლატფორმა საშუალებას აძლევს მსურველებს, გახდნენ მოხალისეები ან მოხალისეობის მხარდამჭერნი. ვებ-გვერდი ხელს უწყობს მოხალისეებისა და მათი მასპინძელი ორგანიზაციების ერთმანეთთან დაკავშირებას და იმ სივრცის შექმნა, სადაც ადამიანები საკუთარ რესურსს, ცოდნასა და გამოცდილებას მიმართავენ სხვის დასახმარებლად და ერთმანეთის სასიკეთოდ. პლატფორმის მომხმარებლები პრაქტიკული საქმიანობისათვის განკუთვნილ დროს აბანდებენ ვოლუნტერის დროის ბანკის სისტემაში და ამასთანავე შესაძლებლობა აქვთ გამოითხოვონ თავიანთი დახარჯული დრო საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად (მაგ: მარი დაეხმარა დათას პრეზენტაციის აწყობაში, რისთვისაც მარიმ დათასგან მიიღო სიმბოლური დრო, „ვოლუნტი" და შეფასება შესრულებული საქმისათვის. თავის მხრივ,

54. **ხელმისაწვდომია:** https://www.edf-feph.org/quality-label-for-volunteering-activities-under-the-european-solidarity-corps-programme/

55. **სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც დარეგისტრირებულია ამ მიზნით შექმნილ მოხალისეთა ეროვნულ სიაში. ამ სიას აწარმოებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.**

როდესაც მარის დასჭირდა დახმარება ეზოს სამუშაოებში მას დაეხმარა რეზი, რომელსაც გადაურიცხა შესაბამისი დრო, „ვოლუნტი“ და გაუკეთა შეფასება, აღნიშნული მოქმედება აისახა თითოეულ მონაწილესთან, რომლის დაგენერირება და გაზიარება შეუძლიათ რეზიუმეს სახით). Volunteer.ge ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს აღრიცხონ მოხალისეობრივი საქმიანობები და ხელი შეუწყონ მოხალისეობრივი საქმიანობის აღიარებას.

სახელმწიფოს მიერ მოხალისეობასთან დაკავშირებული სტრატეგიული ხედვის, პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავებისა და განხორციელების, მოხალისეობრივი და მასპინძელი ორგანიზაციების მიერ საქმიანობის განსაზღვრისა და პოტენციურ მოხალისეთა მიმართ ანგარიშვალდებულების მატებისათვის, გამოიყენება მოხალისეთა რეესტრის შექმნის პრაქტიკა. ასეთი ბაზა იძლევა არა მხოლოდ მოხალისეობრივ საქმიანობაში მსურველი პირის ჩართვის პროცედურის გამარტივების შესაძლებლობას, არამედ ქმნის სტატისტიკურ საინფორმაციო ბაზას, რომელიც შესაბამისი პროგრამებისა თუ სტრატეგიების შემუშავების კუთხით მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს. მოხალისეთა რეესტრი ამარტივებს პირების წვდომას იმ ფინანსურ და არაფინანსურ წამახალისებელ მექანიზმებზე, რომელიც მოქმედებს შესაბამის სახელმწიფოებში, ეროვნულ თუ მუნიციპალურ დონეზე. კერძოდ, სწორედ რეესტრის მეშვეობით ხორციელდება ინფორმაციის მოძიება მოხალისეთა ტრენინგ-საჭიროებების შესახებ და, ხშირ შემთხვევებში, საგადასახადო შეღავათებზე მოხალისეთა წვდომაც სწორედ აღნიშნული ბაზის გამოყენებით ხდება.

ნიდერლანდების შემთხვევაში, აღნიშნული რეესტრები იქმნება ადგილობრივ დონეზე, მოხალისეთა საქმიანობის გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით, სტატისტიკური ინფორმაცია კი რეგულარულად მიეწოდება სახელმწიფო ორგანოებს (შესაბამის სამინისტროებსა და საგადასახადო ორგანოებს). აღნიშნულზე პასუხის შედეგად, მასპინძელ ორგანიზაციას აქვს ვალდებულება, აწარმოოს მოხალისეების შესახებ რეესტრი, რათა შესაძლებელი იყოს იმის განსაზღვრა, თუ რა პერიოდის განმავლობაში თანამშრომლობდა მოხალისე ორგანიზაციასთან, როგორი იყო მისი შრომის პირობები, რა ტიპის სამუშაოს ასრულებდა და მოხდა თუ არა მასპინძელი ორგანიზაციის მიერ მისი მომზადება-გადამზადება. ირლანდიის შემთხვევაში აღნიშნულზე პასუხს აგებენ მოხალისეთა ცენტრები, რომლებიც სტატისტიკურ მონაცემებს აწვდიან Volunteer Ireland-ს. ეს უკანასკნელი, მოწოდებულ ინფორმაციას ანალიზისა და ადვოკატირების მიზნით ამუშავებს.

ლიეტუვასა და პორტუგალიაში აღნიშნული რეესტრები იქმნება ადგილობრივ დონეზე. სტატისტიკური ინფორმაცია რეგულარულად მიეწოდება სახელმწიფო ორგანოებს (შესაბამის სამინისტროებს და საგადასახადო ორგანოებს). ამ ქვეყნებში მასპინძელ ორგანიზაციას აქვს ვალდებულება, აწარმოოს მათი მოხალისეების რეესტრი, რათა შესაძლებელი იყოს იმის განსაზღვრა, თუ რა პერიოდის განმავლობაში თანამშრომლობდა მოხალისე ორგანიზაციასთან, როგორი იყო მისი შრომის პირობები, რა ტიპის სამუშაოს ასრულებდა და გადამზადდა თუ არა ის მასპინძელი ორგანიზაციის მიერ.

მოხალისეთა რეესტრები, ასევე საშუალებას აძლევს სახელმწიფო ინსტიტუციებს და მასპინძელ/მოხალისეობრივ ორგანიზაციებს, გარკვეულწილად წაახალისონ მოხალისეები. მაგალითად, რეესტრში აღრიცხულ მოხალისეებს პორტუგალიაში შეუძლიათ ისარგებლონ სპეციალური შეღავათებით საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისას. ჩეხეთის რესპუბლიკაში სახელმწიფომ შეიძლება სუბსიდირება გაუწიოს ორგანიზაციის ხარჯებს მოხალისეების ჯანმრთელობისა და საპენსიო დაზღვევის დასაფარად (იმ პირე-

ბის მიმართ, რომლებიც მუშაობენ გრძელვადიანი კონტრაქტის ფარგლებში კვირაში საშუალოდ მინიმუმ 20 საათის განმავლობაში). ჩეხეთის რესპუბლიკაში აღნიშნული რეესტრი იმართება მუნიციპალურ დონეზე და მასში რეგისტრირებულ პირებს ხელი მიუწვდებათ ინფორმაციაზე დამატებით მომზადება-გადამზადების კურსების შესახებ, რომელსაც აორგანიზებს თავად მუნიციპალიტეტი, სახელმწიფო ინსტიტუციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ან კერძო სექტორი.

მოხალისეობის მხარდამჭერი პოლიტიკის ფინანსური ინსტრუმენტები

ირლანდიაში მოხალისეობის ინფრასტრუქტურის მხარდამჭერი პოლიტიკის ფინანსური ინსტრუმენტების შექმნა და იმპლემენტაცია ირლანდიაში 2001 წლიდან - მოხალისეობის თეთრი დოკუმენტის შექმნის შემდეგ დაიწყო. ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა ჯამური ოდენობა, 2007-2013 წლამდე 197 მილიონ ევროს შეადგენდა. აღნიშნული თანხა ხმარდებოდა რამდენიმე ფინანსურ მექანიზმს - მოხალისეობრივი ორგანიზაციებისა და ქოლგა-ორგანიზაციების საგრანტო პროექტებს; საგანმანათლებლო/სატრენინგო საქმიანობის სუბსიდირებას, მოხალისეების მეშვეობით განხორციელებულ სოციალურ პროექტებს, მოხალისეობრივი საქმიანობის შედეგად ცნობიერების ამაღლებას, მოხალისეთა ცენტრების მართვას.

2020 წლიდან ირლანდიაში ამოქმედდა პროგრამა მთავრობისთვის - ჩვენი საერთო მომავალი (2020), რომელიც აღიარებს მოხალისეობის მნიშვნელოვან როლს ირლანდიურ საზოგადოებაში და მოიცავს მოხალისეობის მაჩვენებლის გაზრდის მიზანს. დოკუმენტისა და მოხალისეთა სტრატეგიის განხორციელება ხელს შეუწყობს დეპარტამენტის სტრატეგიული მიზნების მიღწევას და შეასრულებს მთავრობის ვალდებულებების პროგრამას, რომელიც საშუალებას მისცემს მოხალისეობას და საზოგადოებაში მოხალისეების როლის აღიარებას, გაფართოებასა და მხარდაჭერას. დეპარტამენტი ასევე უზრუნველყოფს მოხალისეობრივი სექტორის მხარდაჭერას მოხალისეობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. ამ მიზნით, ფინანსდება ორგანიზაციები, რომლებიც ჩართულნი არიან ირლანდიაში მოხალისეობის გაძლიერებასა და ხელშეწყობასა და დამხმარე სტრუქტურის შექმნაში, ეს მოიცავს დაფინანსებას და მხარდაჭერას Volunteer Ireland-ისთვის. მოხალისეთა ცენტრებისა და საზოგადოებრივი მონაწილეობის ქსელებისთვის (PPNs), რომლებიც ადგილობრივ მოხალისეებსა და მოხალისეობრივ ორგანიზაციებს უწევენ კონსულტაციას და ლობირებენ მათ ინტერესებს ადგილობრივ დონეზე. PPN-ები ასევე კოორდინაციას უწევს ადგილობრივ განვითარების შესაძლებლობებს მოხალისეებისა და მოხალისეობრივი ორგანიზაციებისათვის.

ნიდერლანდების შემთხვევაშიც, სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსური მხარდაჭერა, ხელმისაწვდომია, როგორც ქოლგა-ორგანიზაციების, ისე მათში ჩართული მოხალისეობრივი ორგანიზაციებისათვის. აღნიშნულისათვის არსებობს დაფინანსების სხვადასხვა მექანიზმი, რომელთა შორისაცაა წვდომა საგრანტო პროგრამებზე, სოციალური სერვისების განხორციელების უფლებამოსილება.

ბელგიაში სწორედ სახელმწიფოა მოხალისეობრივი აქტორების დაფინანსების ძირითადი წყარო. მოქმედებს ძირითადი დაფინან-

სების მექანიზმი მოხალისეობრივი ორგანიზაციებისათვის და დამატებით შესაძლებელია, საგრანტო დაფინანსების მოპოვება პროექტის განსახორციელებლად. ჯამში, ყოველწლიური დაფინანსება, რომელიც გადაეცემა მოხალისეობრივ ორგანიზაციებს სახელმწიფოს მხრიდან, დაახლოებით 4 მილიონ ევროს აღწევს. ძირითადი დაფინანსების ინსტრუმენტის სახით გაიცემა ყოველწლიური საბიუჯეტო ასიგნებები. ასიგნებები ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გამოიყოფა შესაბამის თემში მოქმედი მოხალისეობრივი (ე.წ. შუამავალი) ორგანიზაციებისათვის - ე.ი. ერთეულებისათვის, რომლებიც მოხალისეთა ჯგუფების ორგანიზებასა და მასპინძელი ორგანიზაციების მოძიებას ახდენენ. აღნიშნული დაფინანსება გამოიყოფა შუამავალი ორგანიზაციების მიერ საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების ჩასატარებლად და მოხალისეთა შორის დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით. ბელგია ასევე ხელს უწყობს მოხალისეობრივი პროექტების დაფინანსებას შესაბამისი საგრანტო პროექტების ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე გამოცხადების გზით. საგრანტო მექანიზმში იგულისხმება სპეციფიკური, მოხალისეობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ან სხვა საქმიანობაზე ორიენტირებული დამატებითი დაფინანსების გაცემის შესაძლებლობა. ინსტრუმენტის არსიდან გამომდინარე, საგრანტო მექანიზმის შემთხვევაში, შესაბამისი ორგანიზაციები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის დონეზე გამოცხადებულ კონკურსში. [56]

დანიაში მოხალისეობრივი საინიციატივო ჯგუფებისა თუ ორგანიზაციებისათვის ხელმისაწვდომია, როგორც ადგილობრივი (მუნიციპალური), ასევე სახელმწიფო დაფინანსება. დაფინანსება, ძირითადად უზრუნველყოფილია გრანტებით. კერძოდ, სოციალური მომსახურების აქტით[57] გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობების ვალდებულება, ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინონ მოხალისეობრივ ორგანიზაციებს/გაერთიანებებს და ითანამშრომლონ მათთან. აღნიშნული ჩანაწერი მიზნად ისახავს მოხალისეობრივ და თვითმმართველობის აქტორებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას და მოხალისეობრივი საქმიანობის მნიშვნელობის უკეთ წარმოჩენას ადგილობრივ დონეზე. სახელმწიფოს მიერ გამოიყოფა შესაბამისი ბიუჯეტი მუნიციპალიტეტებისათვის, რომლებიც შემდგომ აღნიშნულ ფინანსებს ანაწილებენ მოხალისეობრივ ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებზე ე.წ. „ბლოკ გრანტების სახით". გარდა ამისა, არსებობს ოპერაციული გრანტებისა და პროექტთან დაკავშირებული გრანტების მექანიზმიც. ოპერაციულია გრანტი, რომელიც ენიჭება ორგანიზაციას კონკრეტული აქტივობის ან პროექტისთვის გამოყოფის გარეშე. სამაგიეროდ, მხედველობაში მიიღება ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა მოხალისეობრივი ორგანიზაციის გამოცდილება, მათ მიერ აკუმულირებული მოხალისეებისა და მასპინძელი ორგანიზაციების რაოდენობა და თვითშეგროვებული სახსრები. ოპერაციული გრანტების საერთო წლიური მოცულობა 200 მილიონ ევროს აღემატება და ნაწილდება ფილანთროპიულ ორგანიზაციებზე. აქედან მოხალისეობრივი ორგანიზაციების დაფინანსება დაახლოებით 18 მილიონ ევროს შეადგენს. პროექტთან დაკავშირებული გრანტები გაიცემა უშუალოდ კონკრეტულ პროექტებსა და აქტივობებზე. [58]

56. **Study on Volunteering in the European Union - Country Report Belgium (2012); ხელმისაწვდომია:** https://ec.europa.eu/citizenship/pdf/national_report_be_en.pdf; **მოხალისეობრივი საქმიანობა - ბელგია (2023); ხელმისაწვდომია:** https://national-policies.eacea.ec.europa.eu/youthwiki/chapters/belgium-flemish-community/22-administration-and-governance-of-youth-volunteering

57. **ხელმისაწვდომია:** https://www.retsinformation.dk/eli/lta/2022/170

58. **მოხალისეობრივი საქმიანობა - დანია (2023); ხელმისაწვდომია:** https://national-policies.eacea.ec.europa.eu/youthwiki/chapters/denmark/22-administration-and-governance-of-youth-volunteering-0

მოხალისეობის კულტურა

მოხალისეობის კულტურის ნაწილში მოიაზრება, როგორც ისტორიული კონტექსტი, ისე სამოქალაქო თავისუფლებისა და ინდივიდუალური ინიციატივის წახალისების დონე სახელმწიფოში. აღნიშნულში იგულისხმება, ასევე საზოგადოების ცნობიერება მოხალისეობის მიმართ. კორელაცია არსებობს მაღალ სამოქალაქო აქტივიზმსა და მოხალისეობის განხორციელების სურვილსა და მზაობას შორის. არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსახლეობის ნდობის ხარისხი მასპინძელი ორგანიზაციების მიმართ, რომელთა შორის, როგორც წესი, არასამეწარმეო ორგანიზაციები და მუნიციპალური და/ან სახელმწიფო დაწესებულებები შეიძლება მოიაზრებოდნენ. აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის დიდ ნაწილში მოხალისეობა შედარებით ნელა ვითარდება.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ნიდერლანდების გამოცდილება, რომელშიც სოციო-კულტურული ფასეულობები და ისტორიული გამოცდილება მოხალისეობის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს და შედეგად, ახალგაზრდების ნახევარზე მეტი ჩართულია მოხალისეობრივ აქტივობებში. ხელსაყრელ ისტორიულ კონტექსტთან ერთად, რომელიც თავისთავად განაპირობებს მოსახლეობის დადებით განწყობას მოხალისეობრივი საქმიანობის მიმართ, სახელმწიფოს მიერ უწყვეტ რეჟიმში მიიღება ზომები მოხალისეობრივი საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და შესაბამისი მოტივაციის გაჩენის მიზნით. კერძოდ, ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და სპორტის სამინისტროს სოციალური მხარდაჭერის დეპარტამენტს (ჰოლანდიურად: Dienst Maatschappelijke Ondersteuning) დელეგირებული აქვს აღნიშნული ვალდებულება მოხალისეობის ჰოლანდიური ქოლგა ორგანიზაციის NOV-ისთვის, დელეგირებული აქვს ახალგაზრდული მოხალისეობის განვითარების მექანიზმების ნაწილი; ხოლო მასპინძელი და მოხალისეობით დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, საკონსულტაციო პროცედურების მეშვეობით ან საკუთარი ინიციატივით. სახელმწიფო სუბსიდიების თანდათანობით შემცირებასა და მუნიციპალური როლის წინ წამოწევასთან ერთად, სახელმწიფო კერძო ფილანთროპიულ ინიციატივასა და მოხალისეობას კარგი მოქალაქეობის კონტექსტში განიხილავს.

საქართველოში მოხალისეობასთან დაკავშირებული ინტერესის გაღვივებას, სამოქალაქო აქტივიზმის და თვითორგანიზების პროცესს მნიშვნელოვნად უშლის ხელს სოციო-ეკონომიკური ფაქტორები, რომელშიც მოსახლეობის დიდ ნაწილს აიძულებს, კონცენტრირდეს ანაზღაურებად საქმიანობაზე და ნაკლებად იყოს ჩართული თემის ან ფართო საზოგადოებისათვის სასიკეთო, თუმცა არაანაზღაურებად შრომაში. აქედან გამომდინარე, საზოგადოების განვითარების პროცესში მოხალისეობის როლის წარმოჩენასთან ერთად, მნიშვნელოვანია ყურადღება დაეთმოს უნარებზე დაფუძნებულ მოხალისეობას, ხელი შეეწყოს სამოქალაქო მოხალისეობის ინტეგრირებას სასწავლო მოდულებში და აქცენტი გაკეთდეს იმ უნარ-ჩვევებზე, რომლებსაც პირები შეიძენენ მოსამზადებელი ფაზის ან/და უშუალოდ მოხალისეობის დროს.

დასკვნა

საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშემწყობი სისტემების ანალიზმა აჩვენა, რომ უკანასკნელი პერიოდის მანძილზე სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, გამოწვევები არსებობს ეკოსისტემის სამივე ელემენტის - კანონმდებლობის, პოლიტიკისა და კულტურის მიმართულებით. მოხალისეობრივი ეკოსისტემის ნაკლოვანებების გამო, სფერო შედარებით ნელა ვითარდება. ფორმალურ მოხალისეობაში ჩართულ პირთა ქსელი შედარებით ნელა ფართოვდება; გამოწვევებია მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდამჭერი ორგანიზაციების ქსელების მდგრადი განვითარებისა და ფუნქციონირების კუთხითაც. ნაკლები ყურადღება ექცევა მოხალისეობრივი საქმიანობის პოტენციურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ გავლენასა და სოციალურ მდგრადობას.

მოხალისეობრივი სფეროს გარკვეული მიმართულებებით გადადგმული ნაბიჯები არ ეფუძნება სახელმწიფოსა და სექტორის სხვა აქტორს შორის გაზიარებულ რაიმე ერთიან ხედვას და პოლიტიკას. სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებული შესაძლებლობები ნაკლებადაა მორგებული აღნიშნული სექტორის განვითარებაზე. ამ სფეროს მხარდამჭერი პროგრამები წერტილოვანია და არაა დაფუძნებული სფეროს საჭიროებებზე. გამონაკლისს წარმოადგენს ახალგაზრდული მოხალისეობის სფერო, რომელიც ახალგაზრდული პოლიტიკის ნაწილად მოიაზრება და შესაბამისად, მეტ-ნაკლებად გააზრებულია მისი როლი და განვითარების სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

ადგილობრივ დონეზე, მუნიციპალური აქტორების მიერ დაგეგმილი მხარდამჭერი პროგრამები სპორადულია და მიმართულია ახალგაზრდული მოხალისეობის წახალისებისკენ.

მიუხედავად კერძო სექტორის მზარდი ინტერესისა კორპორაციული მდგრადობის მიმართ, კორპორაციულ მოხალისეობას შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა. აღნიშნულის მიზეზი ისიცაა, რომ არ გამოიყენება ჰოლისტური მიდგომა, რომლის დანერგვის შემთხვევაში, შესაძლებელია, საფუძველი ჩაეყაროს სახელმწიფო, კერძო სექტორსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ახალ მიმართულებას, განსაკუთრებით, ისეთ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც კორპორაციული მოხალისეობის სოციალურ და ეკოლოგიურ სფეროებში დანერგვის ხელშეწყობას ეხება. თუმცა, ამგვარი პარტნიორობის დამყარების მიზნით აუცილებელია მოხალისეობრივი ეკოსისტემის გაუმჯობესება და მათში ჩართულ აქტორთა შესაძლებლობების არსებითი გაძლიერება.

გამოწვევები არსებობს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი მოხალისეობრივი აქტორების საზოგადოებასთან ურთიერთობის, ორგანიზაციული მდგრადობის, შემოსავლის წყაროების მოძიების, ერთობლივი ადვოკატირების კუთხითაც. კერძოდ, სხვადასხვა წყაროს მიმოხილვამ აჩვენა, რომ მოხალისეობრივი ორგანიზაციების საკომუნიკაციო საქმიანობა ნაკლებადაა მორგებული საზოგადოების ინფორმირებისა და საქმიანობით დაინტერესების მიზანზე, მეტად სპორადულია და ორგანიზაციის პოზიციონირებას, მისი დადებითი გავლენის ფართო აუდიტორიისათვის გაცნობის ამოცანას ვერ ასრულებს. მათ ორგანიზაციების შემოსავლის წყაროები ერთგვაროვანია - მათი უმეტესობა საერთაშორისო დონორების საგრანტო ინსტრუმენტზეა დამოკიდებული. მუნიციპალურ თუ სახელმწიფო დონეზე მონეტარული მხარდაჭერის შესაძლებლობების არარსებობის, მდგრადი ინდივიდუალური და კორპორაციული დონაციების ნაკლებობის გათვალისწი-

ნებით, აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის აქტორების ორგანიზაციულ მდგრადობას.

რეკომენდაციები

რეკომენდაციები მოხალისეობრივი საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოსთან მიმართებით:

1. მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული აქცენტი დაეთმოს მოხალისეობრივი სფეროს წამახალისებელი საკანონმდებლო მექანიზმების დანერგვასა და გაძლიერებას. მიზანშეწონილია, ამ მიზნით განისაზღვროს საგადასახადო შეღავათები იმ მოქალაქეების/ბიზნესებისათვის, რომლებიც ინდივიდუალური დონაციით ეხმარებიან მოხალისეობრივ სსო-ებს ან ჩართულნი არიან ინდივიდუალურ და კორპორაციულ მოხალისეობაში.

2. მიზანშეწონილია, საქართველოს კანონში „მოხალისეობის შესახებ" შეტანილ იქნეს რეგულაცია, რომელიც მასპინძელ ორგანიზაციებს დაავალებს მოხალისის ჯანმრთელობის, უბედური შემთხვევისაგან და პასუხისმგებლობის დაზღვევას. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი რეგულაცია ითვალისწინებდეს სახელმწიფო/მუნიციპალური ინსტიტუციების მიერ მასპინძელი ორგანიზაციებისათვის შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენას, რათა მოხალისის დაზღვევის საჭიროებამ დამატებითი ფინანსური ტვირთი არ დააკისროს მასპინძელ ორგანიზაციებს.

3. მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე დეტალურად განისაზღვროს მუნიციპალური უწყებების ფუნქცია-მოვალეობები მოხალისეობრივი ეკოსისტემის გაძლიერების მიმართებით. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს მუნიციპალური უწყებების როლზე მოხალისეობრივი ორგანიზაციების გაძლიერების, მოხალისეობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, მოხალისეთა უნარ-ჩვევების გაძლიერებისა და ადგილობრივ დონეზე არსებულ მოხალისეთა ბაზების შექმნისას.

4. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია კანონმდებლობით განისაზღვროს გარკვეულ სფეროებში (სოციალური სერვისები, შშმ პირთა და ბავშვთა უფლებები, ჯანდაცვა, ფსიქო-სოციალური მომსახურება, გარემოს დაცვა) მომსახურების მიწოდების უფლებამოსილების დელეგირების შესაძლებლობა ადგილობრივი მოხალისეობრივი ორგანიზაციებისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ამ სფეროებში კვალიფიცირებული სსო-ების რაოდენობის ზრდას და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოხალისეთა იდენტიფიცირებას, რომელთა ჩართულობა სერვისის მიწოდების პროცესში შეამსუბუქებს სერვის პროვაიდერი ორგანიზაციების ფინანსურ ტვირთს.

5. მნიშვნელოვანია კანონში „მოხალისეობის შესახებ" გაჩნდეს რეგულაციები, რომლებიც კრძალავს მოხალისეთა შევიწროებას, მათ მიმართ დისკრიმინაციასა და უზრუნველყოფს მათი პერსონალური მონაცემების დაცვას.

6. მნიშვნელოვანია, საქართველოს კანონში „მოხალისეობის შესახებ" გაჩნდეს რეგულაციები, რომლებიც კრძალავს მოხალისეთა მიერ ბენეფიციარების, მასპინძელი ორგანიზაციების თანამშრომლების შევიწროებას, მათ მიმართ დისკრიმინაციასა და უზრუნველყოფს მათ მიერ საქმიანობის პროცესში მოპოვებული პერსონა-

ლური მონაცემების დაცვას.

7. მნიშვნელოვანია, კანონი განმარტავდეს მოხალისის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ მისმა ქმედებებმა (განზრახ ან დაუდევრობით) გამოიწვია მასპინძელი ორგანიზაციის ან ბენეფიციართა დაზარალება.

რეკომენდაციები პოლიტიკის მექანიზმებთან მიმართებაში

8. მნიშვნელოვანია, მუნიციპალურ და ეროვნულ დონეზე სტრატეგიული დოკუმენტების შექმნა (შესაძლებელია მოხალისეობრივი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით: ფორმალური/არაფორმალური; ინდივიდუალური/კორპორაციული), რომლებშიც გაიწერება სტრატეგიული ხედვა. სტრატეგიები და შესაბამისი სამოქმედო გეგმები უნდა დაეფუძნოს ჰოლისტურ მიდგომას და ასახავდეს მოხალისეობრივი სფეროს განვითარებაზე მიმართულ სპეციფიკურ, დროში გაწერილ ნაბიჯებს. სტრატეგიული დოკუმენტები აქცენტს უნდა აკეთებდეს კორპორაციულ მოხალისეობაზეც - ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, გაიწეროს სპეციფიკური ნაბიჯები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ინფორმირდება კერძო სექტორი და წახალისდება კორპორაციული მოხალისეობის კულტურის დასანერგად.

9. რეკომენდებულია, ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე მოხალისეობრივი სფეროს განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების იდენტიფიცირება. უნდა განისაზღვროს შესაბამის უწყებათა ვალდებულება, შეიმუშაონ მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები/პროგრამები. ყურადღება უნდა დაეთმოს ამ სფეროში უწყებათაშორისი კოორდინაციის ხელშეწყობასაც/ მაკოორდინირებელი ერთეულების შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით უნდა შედიოდნენ მოხალისეობრივი ორგანიზაციების, მოქალაქეთა ჯგუფებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები. სწორედ, მათი მონაწილეობით და ჩართულობით უნდა შემუშავდეს პოლიტიკის დოკუმენტები და მხარდაჭერის პროგრამები.

10. საკანონმდებლო კუთხით განსაზღვრულ რეკომენდაციებში ასახული წამახალისებელი მექანიზმები უნდა მოიცავდეს არამონეტარულ მექანიზმებსაც. არამონეტარული წამახალისებელი მექანიზმები შესაძლებელია გაწერილი იყოს შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტებით. კერძოდ, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს შემდეგი კომპონენტები:

ა) გადაწყვეტილების მიმღები პირების (ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეებზე) და ზოგადი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება მოხალისეობრივი საქმიანობის მნიშვნელობის შესახებ,

ბ) კერძო სექტორსა და მოხალისეობრივ ორგანიზაციებს შორის დიალოგის ხელშეწყობა შესაბამისი პლატფორმის ამოქმედების გზით (განსაკუთრებით, მუნიციპალიტეტის დონეზე) და აქცენტის გაკეთება კორპორაციულ მოხალისეობაზე, როგორც სოციალურად მდგრადი ბიზნესის მახასიათებელზე,

გ) მუნიციპალიტეტების მიერ მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართული საინიციატივო ჯგუფებისა თუ ინდივიდებისათვის ტრენინგ-კურსების შემუშავება და მიწოდება. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივი მოხალისეობრივი ორგანიზაციების დაკონტრაქტების გზით. ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ მოხალისეობის მიმართ ინტერესის გაღვივებას და ცოდნის მატებას, არამედ ორგანიზაციებს შემოსავლის დამატებით წყაროსაც შეუქმნის.

დ) მუნიციპალურ მოხალისეთა რეესტრების შექმნისაკენ ნაბიჯების გადადგმა ევროპის გამოცდილების გამოყენებით, რათა გამარტივდეს მოხალისეთა მობილიზების, მათი უფლებების დაცვასა და განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობა.

11. მხარდაჭერის სისტემასთან დაკავშირებული პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კერძო სექტორის კომპონენტს. უნდა წახალისდეს, როგორც კორპორაციული მოხალისეობის შესახებ ცნობიერების ამაღლების შესაძლებლობა, ისე მენტორობის და ტრენინგ პროგრამების შემუშავება, რომელთა ფარგლებშიც მეწარმეები შესაბამისი უნარების განვითარებაში დაეხმარებიან მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართულ პირებსა და ორგანიზაციებს. ამის მიღწევა შესაძლებელია ბიზნესის ცნობიერების ამაღლებით, სოციალური მდგრადობის კომპონენტისა და მოხალისეობის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციით.

12. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს, მოხალისეობრივ ორგანიზაციებისა და კორპორაციულ მოხალისეობაში ჩართულ აქტორთა მჭიდრო თანამშრომლობა სამეცნიერო წრეებთან, კერძო სექტორთან, საერთაშორისო პარტნიორებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან, რათა დაიგეგმოს და განხორციელდეს ეფექტიანი მოხალისეობრივი აქტივობები, პროექტები და პროგრამები.

13. მნიშვნელოვანია საშუალო და უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან თანამშრომლობა მოხალისეობრივი საქმიანობის შესახებ მოსწავლეთა და სტუდენტთა ცნობიერების ამაღლების კუთხით. ყურადღება უნდა დაეთმოს მოხალისეობის (მათ შორის, საერთაშორისო მოხალისეობის) შედეგად მიღებული ცოდნისა და უნარების აღიარების მექანიზმების შექმნასა და ამ გზით სასწავლო კრედიტების მოპოვების შესაძლებლობების შემუშავებას.

რეკომენდაციები მოხალისეობრივი საქმიანობის კულტურის განვითარების კუთხით

14. მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართული აქტორების მიერ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მათ საქმიანობაში ფართო საზოგადოების ჩართვაზე ორიენტირებული საკომუნიკაციო მეთოდოლოგიის შემუშავებას. უნდა შემუშავდეს ისეთი საკომუნიკაციო არხებია და გზავნილები, რომლებიც ფართო საზოგადოებას, სახელმწიფოსა თუ მუნიციპალურ აქტორებს, კერძო სექტორს სხვადასხვა სოციალური თუ ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრის პროცესში მოხალისეობის როლის შესახებ შეუქმნის წარმოდგენას. მნიშვნელოვანია მოხალისეობრივი ორგანიზაციების მიერ საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესება და მათ მიერ საზოგადოების პროაქტიული ინფორმირება აქტივობებისა და მიღებული შედეგების შესახებ. აღნიშნულისთვის, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა (მათ შორის, ფინანსური).

15. საზოგადოებასთან, კერძო სექტორსა და მუნიციპალიტეტებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ მოხალისეობრივი ორგანიზაციების აქტივობები მორგებული იყოს შესაბამის თემში/გეოგრაფიულ არეალში არსებული გამოწვევების აღმოფხვრაზე. ამ მიზნით, მიზანშეწონილია მოქალაქეთა აზრისა და განწყობების გამოკითხვის პრაქტიკის დანერგვა, რომელიც აისახება მოხალისეობრივი/მასპინძელი ორგანიზაციების სტრატეგიულ მიზნებში.

16. მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართულმა აქტორებმა, კერძო სექტორისა და

სახელმწიფოს მონაწილეობის გზით, უნდა შეიმუშაონ დაფინანსების ალტერნატიული წყაროების იდენტიფიცირების გზები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი საქმიანობის უწყვეტობა და მიღწეული შედეგების მდგრადობა. აღნიშნულის მისაღწევად, მნიშვნელოვანია კომპანიების ინფორმირება არამომგებიან ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ძლიერი მხარეების, მათ შორის, ამგვარი პარტნიორობის სარგებლიანობის შესახებ;

17. სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და მოხალისეობრივი აქტორების ერთობლივი ძალისხმევით, უნდა შემუშავდეს მოქალაქეთა, მათ შორის, კერძო სექტორში დასაქმებულ პირთა მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის მექანიზმები. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია:

ა) კორპორაციულ მოხალისეთა ქსელების შექმნისა და გაძლიერების,

ბ) ბენეფიციარებთან, მოქალაქეებსა და ფართო საზოგადოებასთან უშუალო კომუნიკაციის რეგულარული კავშირების დამყარების გზით.

18. მნიშვნელოვანია მოხალისეობრივი აქტორების ქოლგა-ასოციაციების შექმნა და გაძლიერება. აღნიშნული ჯგუფების ფარგლებში სხვადასხვა დონეზე მოქმედი ორგანიზაციების მიერ გაზიარდება საკუთარი ცოდნა და გამოცდილება, ასევე მნიშვნელოვან საკითხებზე ერთობლივი ადვოკატირება, საერთო საპროექტო წინადადებების შემუშავება.

ბიბლიოგრაფია

1. იტალიის კანონი 266/91 (1991); ხელმისაწვდომია: https://www.normattiva.it/uri-res/N2Ls?urn:nir:stato:legge:1991-08-11;266

2. მოხალისეობის ევროპული ქარტია (2012); ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/citizenship/pdf/volunteering_charter_en.pdf;

3. მოხალისეობრივი საქმიანობა - ბელგია (2023); ხელმისაწვდომია: https://national-policies.eacea.ec.europa.eu/youthwiki/chapters/belgium-flemish-community/22-administration-and-governance-of-youth-volunteering

4. მოხალისეობრივი საქმიანობა - დანია (2023); ხელმისაწვდომია: https://national-policies.eacea.ec.europa.eu/youthwiki/chapters/denmark/22-administration-and-governance-of-youth-volunteering-0

5. მოხალისეობრივი საქმიანობა ირლანდიაში (2023); ხელმისაწვდომია: https://national-policies.eacea.ec.europa.eu/youthwiki/chapters/ireland/2-voluntary-activities

6. მოხალისეობრივი საქმიანობა - ლიეტუვა (2023); ხელმისაწვდომია: https://national-policies.eacea.ec.europa.eu/youthwiki/chapters/lithuania/29-skills-recognition

7. მოხალისეობრივი საქმიანობა ნიდერლანდებში (2023); ხელმისაწვდომია: https://national-policies.eacea.ec.europa.eu/youthwiki/chapters/netherlands/2-voluntary-activities

8. ნიდერლანდების სოციალური მხარდაჭერის აქტი (WMO; 2015); ხელმისაწვდომია: https://wetten.overheid.nl/BWBR0035362/2023-07-01

9. ნიდერლანდების სამოქალაქო ინტეგრაციის აქტი (2021); ხელმისაწვდომია: https://wetten.overheid.nl/BWBR0044770/2023-01-01

10. ნიდერლანდების საგადასახადო აქტი (2010), ხელმისაწვდომია: https://wetten.overheid.nl/BWBR0029244/2023-01-01

11. პოლონეთის აქტი კონკრეტული გარემოებებით გამოწვეული უბედური შემთხვევების ან პროფესიული დაავადებების შესახებ (2002); ხელმისაწვდომია: https://isap.sejm.gov.pl/isap.nsf/DocDetails.xsp?id=WDU20021991674

12. უნგრეთის აქტი მოხალისეობრივი საქმიანობის შესახებ (2005) (2005); ხელმისაწვდომია: https://net.jogtar.hu/jogszabaly?docid=a0500088.tv

13. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (2022), მხეიძე მ., ფილანთროპია და მოხალისეობრივი საქმიანობა საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველო; ხელმისაწვდომია: https://civilin.org/wp-content/uploads/2022/06/Philanthropy.pdf?fbclid=IwAR0W8FTMwDJ1tccmTu47pAXLw93E4dd6HdTz8zwKkm67iaDdoFOR7AQQT64

14. საქართველოს კანონი მოხალისეობის შესახებ (2015), ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3132612

15. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ (2019), ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=4

16. საქართველოს კანონის სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ (2018); ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4243170?publication=6

17. საქართველოს მთავრობის განკარგულება №553 „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ (2014); ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2314717?publication=0

18. საქართველოს მთავრობის დადგენილება №606 „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ისა“ და მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (2022); ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5675992?publication=0

19. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის N7054 დადგენილება „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0

20. სოფლისა და თემის განვითარების დეპარტამენტი (2019); სტრატეგია თემისა და მოხალისეობრივი განვითარების სფეროში; ხელმისაწვდომია: https://www.gov.ie/en/publication/b97fd-supporting-the-engagement-of-marginalised-communities-in-decision-making-processes/#:~:text=Supporting%20the%20engagement%20of%20marginalised%20communities%20in%20decision%2Dmaking%20processes,-From%20Department%20of&text=In%20August%202019%2C%20the%20Department,Sector%20in%20Ireland%202019%2D2024

21. სოფლისა და თემის განვითარების დეპარტამენტი (2020); მოხალისეობის ეროვნული სტრატეგია 2021-2025; ხელმისაწვდომია: https://www.gov.ie/en/publication/3cba6-national-volunteering-strategy/

22. Center for Civil Society Studies (2022), Comparative Nonprofit Sector Project (1991-2017). ხელმისაწვდომია: https://ccss.jhu.edu/research-projects/comparative-nonprofit-sector-project/#:~:text=The%20Johns%20Hopkins%20Comparative%20Nonprofit,to%20provide%20a%20sounder%20basis

23. Community Southwark (2021); A Guide to Formal and Informal Volunteering; ხელმისაწვდომია: https://communitysouthwark.org/wp-content/uploads/2022/08/aguidetoformalandinformalvolunteering0d2b.pdf

24. Dereckskei, A., (2020) Employee Volunteerism—Conceptual Study and the Current Situation; ხელმისაწვდომია: https://www.mdpi.com/2071-1050/12/20/8378

25. Educational, Audiovisual & Culture Executive Agency (EAC-EA) Directorate General Education and Culture (DG EAC) (2010) Volunteering in European Union; ხელმისაწვდომია: https://commission.europa.eu/system/files/2020-03/exec_summary_volunteering_eu_en.pdf

26. European Parliament and of the Council (2021) Regulation (EU) 2021/888 on establishing the European Solidarity Corps Programme; ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/summary/european-solidarity-corps-programme-2021-2027.html#:~:text=The%20

European%20Solidarity%20Corps%20(ESC,the%20European%20Union%20(EU)%20and

27. European Youth Forum (2012), European Charter on the Rights and Responsibilities of Volunteers – Volunteering Charter; ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/citizenship/pdf/volunteering_charter_en.pdf

28. European Economic and Social Committee (2022); New trends in the development of volunteering in the European Union – Study; ხელმისაწვდომია: https://www.eesc.europa.eu/sites/default/files/files/qe-09-22-293-en-n.pdf;

29. European Commission (2015), Study on Volunteering in the European Union Country Report France. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/citizenship/pdf/national_report_fr_en.pdf

30. European Commission (2018), Study on Volunteering in the European Union Country Report Ireland. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/citizenship/pdf/national_report_ie_en.pdf=3

31. European Commission (2015), Study on Volunteering in the European Union Country Report Portugal. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/citizenship/pdf/national_report_pt_en.pdf; პორტუგალიის კანონი მოხალისეობის შესახებ (1999); ხელმისაწვდომია: https://diariodarepublica.pt/dr/detalhe/decreto-lei/389-1999-667920

32. European Commission (2015), Study on Volunteering in the European Union Country Report Romania. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/citizenship/pdf/national_report_ro_en.pdf; რუმინეთის კანონი 78/2014 მოხალისეობრივი საქმიანობის რეგულირების შესახებ; ხელმისაწვდომია: https://lege5.ro/gratuit/gm4tsojsgi/legea-nr-78-2014-privind-reglementarea-activitatii-de-voluntariat-in-romania

33. Government of Poland(2022), Volunteering in Poland. ხელმისაწვდომია: https://www.gov.pl/

34. Hadzi Miceva, K., The International Journal of Not-for-Profit Law (2007), Civil Society in Complex Environments Comparative Analysis of the European Legal Systems and Practices Regarding Volunteering. ხელმისაწვდომია: https://www.icnl.org/resources/research/ijnl/comparative-analysis-of-the-european-legal-systems-and-practices-regarding-volunteeringInternational Labour Organisation (ILO; 2018), Manual on the Measurement of Volunteer Work. ხელმისაწვდომია: https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---stat/documents/meetingdocument/wcms_100574.pdf

35. Mazanec, J., (2022) Corporate Volunteering as a Current Phenomenon in Corporate Social Responsibility to Support the Career Development and Professional Skills of Employees during the COVID-19 Pandemic: A Case Study of the Slovak Republic; ხელმისაწვდომია: https://www.mdpi.com/2071-1050/14/7/4319

36. Miller, S., Benefits of Skills-Based Volunteerism: ROI Tracker Findings; ხელმისაწვდომია: https://www.trueimpact.com/social-impact-resources/bid/75953/benefits-of-skills-based-volunteerism-roi-tracker-findings

37. Tarpey, V., (2017); Law – Volunteer Management; ხელმისაწვდომია: https://volunteerdublincity.ie/wp-content/uploads/2017/06/DVMS-2017_Law-and-Volunteer-Management_Verena-Tarpey.pdf ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0

38. National Europass Centre of the Netherlands (2020); Europass Mobility for Volunteers; ხელმისაწვდომია: https://pjp-eu.coe.int/documents/42128013/47262121/Europass.pdf/effe7745-08de-43f0-be2b-ce179a2140e7

39. Study on Volunteering in the European Union - Country Report Belgium (2012); ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/citizenship/pdf/national_report_be_en.pdf;

40. UNV (2018), A PLAN OF ACTION SYNTHESIS REPORT ON INTEGRATING VOLUNTEERING INTO THE 2030 AGENDA IN THE UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE (UNECE) REGION. ხელმისაწვდომია: https://www.unv.org/sites/default/files/POA_UNECE_Synthesis%20Report_2019.pd